რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოში

2024

წლის ანგარიში

TDI

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი

ანგარიში მომზადდა ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) მიერ.

ანგარიში შექმნილია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ტოლერანტობის და მრავალ-ფეროვნების ინსტიტუტი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის შეხედულებებს.

© 2025, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI)

ვებგვერდი: www.tdi.ge

სარჩევი

ძირითადი ფენდენციები 5

1. სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკა 2024 წელს 10

1.1. დემოკრატიის კრიზისი და ადამიანის უფლებების მდგომარეობა 10

1.2. „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი (რუსული კანონი) და რელიგიური ორგანიზაციები 11

რომელ რელიგიურ ორგანიზაციებს ეხება კანონი 12

რა საფრთხეს უქმნის კანონი რელიგიურ ორგანიზაციებს და რელიგიის თავისუფლებას 13

1.3. „ქართული ოცნების“ ინიციატივა მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შესახებ 15

1.4. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო - ხელისუფლების რეპრესიული ინსტრუმენტი 17

1.5. უკანონო თვალთვალი, მოსმენა და შანტაჟი 19

2. საპარლამენტო არჩევნების წინა და შემდგომი გარემო რელიგიის თავისუფლების, თანასწორობისა და სეკულარობის კონტექსტში 23

2.1. წინასაარჩევნო პერიოდი 23

2.2. არჩევნების შემდგომი პერიოდი 26

3. დისკრიმინაცია საქართველოს კანონმდებლობაში 30

3.1. დისკრიმინაცია თავდაცვის კოდექსში 30

3.2. დისკრიმინაცია სახელმწიფო ქონების კანონში 32

3.3. დისკრიმინაცია საგადასახადო კოდექსში 33

3.4. უქმე დღეებისა და რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნა 34

დეპუტატ ტარიელ ნაკაიძის საქმე 35

ადვენტისტი აბიტურიენტების საქმე 36

4. არადომინანტური რელიგიური გაერთიანებების ქონებრივი უფლებები 38
4.1. ისტორიული ქონების დაბრუნების პრობლემა 38
კათოლიკეებისთვის მათი ისტორიული ტაძრების მონახულების ხელშეშლა 39
4.2. ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის საქმე 40
4.3. საქართველოს ევანგელისტური ეკლესიის საქმე 41
5. რელიგიური გაერთიანებების სახელმწიფო დაფინანსება და ქონების გადაცემა 44
სასამართლო დავა დისკრიმინაციულ მუნიციპალურ დაფინანსებაზე 46
6. დანაშაულები რელიგიის ნიშნით 47
6.1. რელიგიური შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების სტატისტიკა 48
6.2. დაბა ადიგენში მუსლიმების დევნა 49
6.3. ქობულეთის მუსლიმთა პანსიონის საქმე 50
7. რელიგია საჯარო სკოლებში 52
7.1. საპატრიარქოს „ღირებულებითი კლუბი“ 54
7.2. არწივანის საჯარო სკოლაში მუსლიმი მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიმართ დისკრიმინაცია 55
8. ანტისემიტიზმი 59
8.1. ვიტალი საფაროვის მკვლელობის საქმე 59
8.2. ანტისემიტიზმის შემთხვევები საქართველოში 59

ძირითადი ტენდენციები

სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკა

2024 წელი საქართველოში მმართველი პარტიის, „ქართული ოცნების“ მიერ წარმოებული რეპრესიებით, ადამიანის ფუნდამენტური უფლებების უხეში დარღვევითა და ქვეყნის ევროინტეგრაციაზე მიზანმიმართული უარის თქმით გამოირჩეოდა. ამგვარ რეპრესიულ პროცესებში რელიგიისა და რწმენის თავისუფლების მდგომარეობის საკითხი, რომელსაც პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წრეებში ისედაც არ ეთმობოდა სათანადო ყურადღება, ფაქტობრივად საჯარო განხილვებისა და ადეკვატური შეფასებების მიღმა დარჩა.

2024 წლის მაისში „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მიერ მიღებული „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი (რუსული კანონი), სხვა ფუნდამენტურ უფლებებთან ერთად, ლახავს რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას და საფრთხეს უქმნის რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობას.

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი: საფრთხეს უქმნის რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას და ადამიანების უფლებას, თავისუფლად, შიშისა და სტიგმის გარეშე გამოხატონ საკუთარი რელიგია ან რწმენა, როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად; ერევა რელიგიურ საქმიანობასა და ავტონომიურობაში; სახელმწიფოს აძლევს ბერკეტს, შეაგროვოს ადამიანების აღმსარებლობის შესახებ განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური, სენსიტიური შინაარსის მონაცემები.

2024 წელს „ქართულმა ოცნებამ“ გამოაცხადა ინიციატივა საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომლის მიზანი იყო მართლმადიდებელი ქრისტიანობის საქართველოს სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება. რეალურად კი ეს ინიციატივა ქმნიდა მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობის შეზღუდვის და მისი სახელმწიფოსადმი დაქვემდებარების რისკს. საბოლოოდ, „ქართული ოცნების“ ეს მცდელობა წარუმატებელი გამოდგა, რადგან კრიტიკულად შეფასდა და ვერ მოიპოვა ეკლესიის სრული მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში პრობლემურად დარჩა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს როლი და საქმიანობა, რომელიც არ ემსახურება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას და არამართლმადიდებელი რელიგიური ორგანიზაციების კონტროლის მექანიზმად განიხილება. სააგენტოს არ გამოუხატავს პოზიცია „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონზე, რომელიც რელიგიურ ორგანიზაციებსაც ავალდებულებს მადისკრედიტებელ რეესტრში „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად“ დარეგისტრირებას. სააგენტოს უარყოფითი და ადამიანის უფლებების საწინააღმდეგო როლი გამოჩნდა ადიგენში 2023-2024 წლებში მუსლიმების მიმართ განგრძობითი დევნისა და უფლებების შელახვის საქმეშიც.

გამოუძიებელი დარჩა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სავარაუდო უკანონო თვალთვალისა და მოსმენის საქმეები, რაც 2021 წელს 50,000-ზე მეტი ფაილს გამოქვეყნებით გახდა ცნობილი. ფაილები შეიცავდა პერსონალურ მონაცემებს, პირად კომუნიკაციასა და პირადი ცხოვრების ამსახველ ინფორმაციას კონკრეტული ინდივიდების შესახებ. მათი სრული უმრავლესობა შეეხებოდა რელიგიის თემატიკას.

მნიშვნელოვანი რეგრესი შეინიშნება რელიგიის თავისუფლებისა და რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციის საქმეებზე მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებებშიც. არსებული ტენდენციით, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ქვემდგომი სასამართლოების მიერ მიღებული დადებითი გადაწყვეტილებები, ზემდგომი სასამართლოები ამ გადაწყვეტილებებს ცვლიან ადამიანის უფლებების და თავისუფლებების საზიანოდ; ხოლო ახლად დაწყებულ საქმეებზე, უმეტეს შემთხვევაში, იმთავითვე უარყოფითი გადაწყვეტილებები გამოაქვთ.

არჩევნების წინა და შემდგომი გარემო

2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა და შემდგომ პერიოდში „ქართული ოცნება“ აქტიურად იყენებდნენ ადამიანის უფლებების საწინააღმდეგო ანტიდემოკრატიულ და ანტიდასავლურ პროპაგანდას, რომელშიც ცენტრალურ თემებად მართლმადიდებელი ეკლესიის, „ოჯახური ღირებულებებისა“ და „ტრადიციების“ დაცვის საკითხები იყო წამოწეული. მეორე მხრივ, მართლმადიდებელი სასულიერო პირების დიდი ნაწილის ქადაგებებსა და საჯარო გამოსვლებში ისმოდა როგორც „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მხარდამჭერი, ისე სამოქალაქო საზოგადოების, ადამიანის უფლებების და დასავლეთის საწინააღმდეგო რიტორიკა.

დადებით ტენდენციად უნდა აღინიშნოს მართლმადიდებელი სასულიერო პირების ნაწილისა და სხვა კონფესიების წარმომადგენელთა განცხადებები, რომლებითაც ისინი გმობენ პროევროპელი დემონსტრანტების წინააღმდეგ ძალადობას, ითხოვენ პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლებას და მხარს უჭერენ საქართველოს ევროპულ კურსს.

დისკრიმინაცია საქართველოს კანონმდებლობაში

პრობლემად რჩება კანონმდებლობაში არსებული დისკრიმინაციული ნორმები, რომლებიც რელიგიური უმცირესობების მიმართ დიფერენცირებულ მიდგომებს ამკვიდრებს და საგამონაკლისო პრივილეგიებსა და უფლებებს მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის აწესებს. დისკრიმინაციული ნორმები გვხვდება თავდაცვის, საგადასახადო, სახელმწიფო ქონების და შრომის კანონმდებლობაში.

საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს კანონმდებლობაში არსებული დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად არანაირი ნაბიჯი არ გადაუდგამთ. პირიქით, ხელისუფლებამ საანგარიშო პერიოდშიც განაგრძო ახალი დისკრიმინაციული და ადამიანის უფლებების საწინააღმდეგო კანონმდებლობის მიღება, რომლის მაგალითია 2024 წელს მიღებული „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი (რუსული კანონი).

რელიგიური გაერთიანებების ქონებრივი უფლებები

არადომინანტური რელიგიური გაერთიანებებისთვის ერთ-ერთი მწვავე პრობლემა კვლავ რელიგიურ ქონებასა და სამლოცველოებთან დაკავშირებული საკითხებია. რელიგიური გაერთიანებები დაბრკოლებებს აწყდებიან როგორც საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული რელიგიური ქონების დაბრუნების, ისე ახალი სამლოცველოების მშენებლობის პროცესში.

კვლავ გადაუჭრელი რჩება მუსლიმების მიერ ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის საკითხი. კერძოდ, ხელისუფლების მხრიდან მუსლიმთა ფუნდამენტური უფლებების უხეშ დარღვევას განგრძობითი ხასიათი აქვს.

საანგარიშო პერიოდში კვლავ აქტუალური იყო საქართველოს ევანგელისტური ეკლესიის საქმე, რომელშიც ევანგელისტური ეკლესიის მრევლის რწმენისა და რელიგიის თავისუფლების და სხვა ფუნდამენტური უფლებების უხეში დარღვევა შენიღბულია წინააღმდეგობრივი სამოქალაქო დავით.

რელიგიური ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსება

წინა წლების მსგავსად, სახელმწიფომ 2024 წელსაც განაგრძო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსება. 25 მილიონის გარდა, საქართველოს მთავრობამ ეკლესიას 39 364 180 ლარიც გადასცა. ეკლესიას დიდი ოდენობით უძრავი ქონებაც გადაეცა.

2024 წელს საქართველოს მუსლიმ თემს - 4 150 000 ლარი, საქართველოს სომეხთა სამოციქულო ქრისტიანულ თემს - 1 100 000 ლარი, საქართველოს რომაულ-კათოლიკურ თემს - 700 000 ლარი, საქართველოს იუდეურ თემს - 550 000 ლარი გადაეცათ. შედეგად, ოთხივე

რელიგიური გაერთიანების დაფინანსების საერთო წლიურმა მოცულობამ 6,5 მილიონი ლარი შეადგინა. ეს დაფინანსება ამ ოთხ რელიგიურ თემს საბჭოთა კავშირის დროს მიყენებული ზიანის სიმბოლური კომპენსირების საფუძვლით გადაეცემა.

დანაშაულები რელიგიის ნიშნით

წინა წლების მსგავსად, რელიგიური ნიშნით მოტივირებულ დანაშაულებზე არასათანადო რეაგირება კვლავაც პრობლემურ საკითხად რჩება, რაც გამოიხატება გამოძიების არდაწყებაში, არაეფექტიან გამოძიებაში, მსხვერპლისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭებისა და ბრალდებული პირების გამოვლენის გაჭიანურებაში.

2024 წელს, მსგავსად 2023 წლისა, ადიგენში მუსლიმი მორწმუნეების მიმართ ძალადობრივი მუქარის, სიძულვილის ენის გამოყენების და რელიგიურ საქმიანობაში ხელშეშლის ფაქტების მიმართ ხელისუფლებამ მიზანმიმართულად არ დაიწყო გამოძიება. მეტიც, საქმეში ხელისუფლების სხვადასხვა რგოლის ჩართულობა დანაშაულის დაფარვასა და მუსლიმების კანონიერი უფლებების აღსრულების ხელშეშლაზე მიუთითებს.

რელიგია საჯარო სკოლებში

საჯარო სკოლებში ინდოქტრინაცია, პროზელიტიზმი და რელიგიური ნეიტრალობის დარღვევა დღემდე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. მიუხედავად პრობლემის არსებობისა, განათლების სამინისტრო არ ახდენს ამგვარი ფაქტების პროაქტიულად გამოვლენას და აღკვეთას.

2024 წელს სოფელ არწივანის საჯარო სკოლის მუსლიმი მასწავლებლები და მოსწავლეები რელიგიური ნეიტრალობის დარღვევისა და დისკრიმინაციის მსხვერპლი გახდნენ. სკოლაში, რომლის მასწავლებლებისა და მოსწავლეების უმრავლესობა მუსლიმია, მართლმადიდებელმა სასულიერო პირებმა საგაკვეთილო საათებში საკლასო ოთახები აკურთხეს, კედლებზე ჯვრის გამოსახულებიანი სტიკერები გააკრეს, მოსწავლეებს (მათ შორის, მუსლიმ მოსწავლეებს) ნაკურთხი წყალი აპკურეს და ზეთისცხების რიტუალიც ჩაატარეს. სახალხო დამცველმა ამ საქმის შესწავლა 10 თვეს გააჭიანურა და საბოლოოდ საქმის წარმოება შეწყვიტა.

საანგარიშო პერიოდში განათლების სამინისტრომ შეწყვიტა ახალი სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესი და მასში ადამიანის უფლებების ექსპერტების ჩართულობა. ამავე პერიოდში „ქართულმა ოცნებამ“ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების ახალი დოკუმენტი შეიმუშავა, რომელიც შინაარსობრივად ეხმიანება იმ ღირებულებით ცვლილებებს, რაც მის ნარატივში ხშირად არის გახმოვანებული.

2024 წელს ინტენსიურად ჩანდა საპატრიარქოსა და განათლების სამინისტროს შორის თანამშრომლობა. საპატრიარქო აქტიურად ხვდებოდა მასწავლებლებს, ხოლო 20 საპილოტე სკოლაში პროექტ „ღირებულებითი კლუბის“ შეხვედრები ჩატარდა.

ანჯისემიჯიზმი

საანგარიშო პერიოდში, ეთნიკური შეუწყნარებლობისა და ანტისემიტიზმის მოტივით ჩადენილი ვიტალი საფაროვის მკვლელობის საქმეზე ვიტალი საფაროვის დედამ, მარინა ალანაკიანმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართა.

საანგარიშო პერიოდში ანტისემიტურ გზავნილებს შეიცავდა სხვადასხვა საჯარო პირის, მათ შორის, „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებული პროპაგანდისტების გამოსვლები და სოციალურ ქსელებში გავრცელებული მასალები.

1. სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკა 2024 წელს

1.1. დემოკრატიის კრიზისი და ადამიანის უფლებების მდგომარეობა

2024 წელი საქართველოში მმართველი პარტიის, „ქართული ოცნების“ მიერ დემოკრატიული ინსტიტუტების სრული ჩამოშლით, რეპრესიებით, ადამიანის ფუნდამენტური უფლებების უხეში დარღვევითა და ქვეყნის ევროინტეგრაციაზე მიზანმიმართული უარის თქმით გამოირჩეოდა[1]. ხელისუფლების ავტორიტარული მისწრაფებები გამოვლინდა საპარლამენტო არჩევნების ძირითადი დემოკრატიული პრინციპების უხეში დარღვევებით ჩატარებაში,[2] პოლიტიკური კონკურენციის ჩახშობასა და ოპონენტების დევნაში,[3] შეკრება-მანიფესტაციისა და გამოხატვის თავისუფლების ხელყოფაში,[4] მანიფესტანტების წამებაში, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობაში.[5]

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ არაერთი კანონი მიიღო, რაც მიზნად ისახავს დამოუკიდებელი სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის საქმიანობის შეზღუდვას და განადგურებას.[6] განსაკუთრებით საყურადღებოა 2024 წელს მიღებული „უცხოური გავლენის გამჭვი-

1 2024 წლის 28 ნოემბერს „ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლება უარს ამბობს 2028 წლის ბოლომდე ევროკავშირთან მოლაპარაკების გახსნაზე, რასაც საზოგადოების მხრიდან მყისიერი პროტესტი და უწყვეტი, ყოველდღიური დემონსტრაციები მოჰყვა თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. „ქართულ ოცნებას“ 2028 წლის ბოლომდე ევროკავშირთან მოლაპარაკების გახსნა არ სურს“, რადიო თავისუფლება, 2024 წლის 28 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33219304.html

2 საქართველო, 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიში, ხელმისაწვდომია: https://www.osce.org/odihr/elections/georgia/584029

3 „ჩვენი დელეგაცია განსაკუთრებით შეშფოთებული იყო წინასაარჩევნო კამპანიის დროს მმართველი პარტიის მიერ გაკეთებული საჯარო განცხადებებით, რომლებიც ძირითადი ოპოზიციის აკრძალვას ითხოვდა“, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა (PACE), 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე დაკვირვების ანგარიში, პარ. 76, ხელმისაწვდომია: https://pace.coe.int/en/files/33924/html

4 „ადამიანის უფლებების კრიზისი საქართველოში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ“, არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი სპეციალური ანგარიში, თავი 2.1., ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4jgRFnb

5 იქვე, თავი 2.2.

6 „გზა დიქტატურისკენ: „ქართული ოცნების“ რეპრესიული ცვლილებები კანონმდებლობაში“, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, ხელმისაწვდომია: https://transparency.ge/ge/post/gza-diktaturisken-kartuli-ocnebis-represiuli-cvlilebebi-kanonmdeblobashi

რვალობის შესახებ“ კანონი (რუსული კანონი), რომელიც სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიაორგანიზაციების დისკრედიტაციას, კონტროლს და საქმიანობის ხელყოფას ისახავს მიზნად.[7] კანონის წინააღმდეგ გამართულ მშვიდობიან სამოქალაქო პროტესტს ხელისუფლებამ გაუმართლებელი და არაპროპორციული ძალა დაუპირისპირა, ხოლო არადემოკრატიული ნაბიჯებით ქვეყნის ევროინტეგრაცია მიზანმიმართულად შეაფერხა.[8]

ამ პროცესებმა მხოლოდ განამტკიცა უკვე არსებული ტენდენცია, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მიზანი საქართველოში დემოკრატიის განადგურება, სახელმწიფო ინსტიტუტების სრულად კონტროლი და ქვეყნის დასავლური ინტეგრაციის კურსის ცვლილება იყო. ამგვარ რეპრესიულ პროცესებში კი რელიგიისა და რწმენის თავისუფლების მდგომარეობის საკითხი, რომელსაც პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წრეებში ისედაც არ ეთმობოდა სათანადო ყურადღება, ფაქტობრივად საჯარო განხილვებისა და ადეკვატური შეფასებების მიღმა დარჩა. მაგალითად, „ქართული ოცნების“ მიერ მიღებული რუსული კანონი რელიგიურ ორგანიზაციებზეც ვრცელდება, თუმცა ამას სათანადო შეფასებები არც ადგილობრივ და არც საერთაშორისო დონეზე არ მოჰყოლია (დეტალურად იხილეთ შემდეგი ქვეთავი). მუდმივად დაძაბული, პოლარიზებული, პრობლემებით დატვირთული პოლიტიკური ფონი ხელსაყრელ პირობებს უქმნის ავტორიტარული მისწრაფებების მქონე ხელისუფლებას, გაზარდოს წნეხი რელიგიურ ორგანიზაციებსა და ადამიანებზე და დღის წესრიგიდან გაიტანოს რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დაცვის საჭიროება.

1.2. „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი (რუსული კანონი) და რელიგიური ორგანიზაციები

2024 წლის მაისში „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მიერ მიღებული „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი (რუსული კანონი), სხვა ფუნდამენტურ უფლებებთან ერთად, ლახავს რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას და საფრთხეს უქმნის რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობას.

კანონი ითვალისწინებს დისკრიმინაციული და მასტიგმატიზებელი რეესტრის შექმნას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისთვის და მედიაორგანიზაციებისთვის. ორგანიზაცია, რომელიც წლიური დაფინანსების 20%-ზე მეტს უცხოური წყაროებიდან იღებს, ვალდებულია, დარეგისტრირდეს „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად“ და სახელმწიფოს შესაბამისი დეკლარაციები წარუდგინოს. კანონი ითვალისწინებს

7 Georgia, Urgent Opinion on the Law on Transparency of Foreign Influence, Venice Commission, 21 May 2024, ხელმისაწვდომია: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI(2024)013-e
Urgent Opinion on the Law of Georgia “On transparency of Foreign Influence”, OSCE/ODIHR, 30 May 2024, ხელმისაწვდომია: https://www.osce.org/files/f/documents/b/d/569922.pdf

8 ადამიანის უფლებათა ცენტრი, ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში, 2024 წლის ანგარიში, თავი 1, ხელმისაწვდომია: https://www.hrc.ge/files/381annual2024geo.pdf

მძიმე ფინანსურ სანქციებს, მონიტორინგს და კონტროლს, ასევე ავალდებულებს ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, მოთხოვნის შემთხვევაში, სახელმწიფოს გადასცეს ნებისმიერი, მათ შორის, პერსონალური მონაცემების (განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების ჩათვლით) შემცველი ინფორმაცია.

კანონი გამონაკლისს მხოლოდ საქართველოს ეროვნულ სპორტულ ფედერაციასა და „ადამიანის სისხლისა და მისი კომპონენტების ხარისხისა და უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სისხლის დაწესებულებაზე უშვებს. ყველა სხვა ტიპის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი კი ვალდებულია, დარეგისტრირდეს უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად - მათ შორის რელიგიური ორგანიზაციებიც.

რომელ რელიგიურ ორგანიზაციებს ეხება კანონი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად (მუხლი 1509[1]), რელიგიურ გაერთიანებებს შეუძლიათ აირჩიონ მათთვის სასურველი სამართლებრივი ფორმა: 1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი; 2. საჯარო სამართლის იურიდიული პირი; 3. ან ეწეოდნენ საქმიანობას რეგისტრაციის გარეშე, არარეგისტრირებული კავშირის ფორმით. ამდენად, რუსული კანონი უპირობოდ ვრცელდება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით რეგისტრირებულ ყველა რელიგიურ ორგანიზაციაზე, თუკი მათი წლიური დაფინანსების 20%-ზე მეტი უცხოური წყაროებიდანაა. ბუნდოვანია საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით რეგისტრირებული რელიგიური ორგანიზაციების ბედიც, ვინაიდან სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით, სახელწოდების მიუხედავად, ისინიც არსებითად კერძო სამართლის იურიდიული პირები არიან: მათზე არ ვრცელდება საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ და მათი უფლებამოსილება განისაზღვრება სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმებით, რომლებიც კერძო სამართლის იურიდიული პირის უფლებამოსილებას აწესრიგებს. შესაბამისად, არსებული არადემოკრატიული მმართველობის პირობებში, თუკი ხელისუფლებას ამგვარი განზრახვა ექნება, მან, შესაძლოა, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი საჯარო სამართლის იურიდიულ პირ რელიგიურ ორგანიზაციებზეც გაავრცელოს.

არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკა, თუ რამდენ რელიგიურ ორგანიზაციას აქვს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სტატუსი. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს განცხადებით, უწყება ამ ნიშნით რეესტრს არ აწარმოებს.[9] თუმცა, TDI-ს ინფორმაციით, საქართველოში, სულ ცოტა, რამდენიმე ათეული სხვადასხვა მიმდინარეობის რელიგიური ორგანიზაცია სარგებლობს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით.

9 სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 28 მაისის № 114285 წერილი.

გარდა ამისა, რელიგიური გაერთიანებების დიდ ნაწილს აქვს მათთან დაკავშირებული სოციალური, საქველმოქმედო და საგანმანათლებლო ორგანიზაციები, რომლებიც არასამეწარმეო იურიდიული პირებია. მათი სოციალური საქმიანობისთვის საერთაშორისო გრანტები და შემოწირულებები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი კი მათაც „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციებად“ განიხილავს და მძიმე, მასტიგმატიზებელ ვალდებულებებს აკისრებს.

რა საფრთხეს უქმნის კანონი რელიგიურ ორგანიზაციებს და რელიგიის თავისუფლებას

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-18 მუხლი და ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ევროპული კონვენციის მე-9 მუხლი იცავს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას, მათ შორის მის კოლექტიურ ასპექტს, რომ ადამიანებმა სხვებთან ერთად ისარგებლონ ამ უფლებით. პაქტის 22-ე და ევროპული კონვენციის მე-11 მუხლები კი იცავს ადამიანების შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებას. ეს ფუნდამენტური უფლებები გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციითაც. ამ უფლებების ნაწილია ფინანსურ წყაროებზე წვდომაც. გაეროს დეკლარაცია რელიგიის ან რწმენის ნიშნით შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ აღნიშნავს, რომ რელიგიის თავისუფლება მოიცავს კერძო პირებისა და ორგანიზაციებისგან ნებაყოფლობითი ფინანსური თუ სხვა სახის შემოწირულებების მოთხოვნისა და მიღების უფლებას (მუხლი 6). ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კი განმარტავს, რომ რელიგიური გაერთიანების წინააღმდეგ გატარებულმა ეკონომიკურმა, ფინანსურმა ან ფისკალურმა ზომებმა, შესაძლოა, კონვენციის მე-9 მუხლით დაცული უფლებებით სარგებლობის დარღვევა გამოიწვიოს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამგვარ ზომებს რელიგიური გაერთიანებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი წყაროების გადაკეტვის ან მისი რელიგიური საქმიანობის შეფერხების ეფექტი აქვს.[10]

კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“:

- **იწვევს სტიგმატიზაციას და რეპუტაციულ ზიანს,** ვინაიდან „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი“ ნიშნავს „აგენტს“, საკუთარი სახელმწიფოს ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედ პირს. ამ ტერმინებს განსაკუთრებით უარყოფითი დატვირთვა აქვს ქართულ ენაში, ვინაიდან, საბჭოთა დროიდან მოყოლებული, „აგენტად“ მიიჩნევა ადამიანი, რომელიც ჯაშუშურ და მტრულ საქმიანობას ეწევა საკუთარი სამშობლოს წინააღმდეგ. წლებია, რელიგიური უმცირესობების მიმართ დისკრიმინაცია, დევნა და სიძულვილის ენა გამსჭვალულია პოპულისტური და ფსევდორელიგიური ნარატივებით,

10 The Church of Jesus Christ of Latter-Day Saints v. the United Kingdom, 2014, § 30; Cumhuriyetçi Eğitim ve Kültür Merkezi Vakfı v. Turkey, 2014, § 41

სადაც ე.წ. დასავლური რელიგიები - დასავლეთის, ხოლო ისლამური რელიგიური გაერთიანებები თურქეთისა და ირანის აგენტებად მოიაზრებიან. ამგვარად, რელიგიური ორგანიზაციების „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციებად“ რეგისტრირება განსაკუთრებით მწვავედ აისახება რელიგიურ უმცირესობებზე, რომლებიც ისედაც ხშირად ხდებიან დევნის, დისკრიმინაციისა და სტიგმატიზაციის ობიექტები საქართველოში;

- **საფრთხეს უქმნის რელიგიური და მათთან დაკავშირებული საქველმოქმედო და საგანმანათლებლო ორგანიზაციების არსებობას**, ვინაიდან ის ორგანიზაციები, რომლებიც უარს იტყვიან „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად“ რეგისტრაციაზე, შესაძლოა, დაექვემდებარონ დიდ ფინანსურ სანქციებს, რაც მათ ფუნქციონირებას შეუძლებელს გახდის. ხოლო იმ ორგანიზაციებმა, რომლებიც დარეგისტრირდებიან სახელმწიფოს რეესტრში, შესაძლოა, ვერ გაუძლონ სახელმწიფოს მხრიდან მასტიგმატიზებელ და დამამცირებელ მოპყრობას, ასევე მათ ავტონომიურობასა და წევრთა რე-ლიგიის თავისუფლებაში უხეშ ჩარევას;

- **საფრთხეს უქმნის რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას** და ადამიანების უფლებას, თავისუფლად, შიშისა და სტიგმის გარეშე გამოხატონ საკუთარი რელიგია ან რწმენა, როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად;

- **ერევა რელიგიურ საქმიანობასა და ავტონომიურობაში,** ვინაიდან, კანონის თანახმად, სახელმწიფოს შეუძლია, შეამოწმოს ორგანიზაციის ფინანსები და მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური და სენსიტიური ინფორმაციის ჩათვლით. რელიგიური ორგანიზაციები კი, როგორც წესი, საკუთარი წევრების მიერ გაღებული შემოწირულებებით ფუნქციონირებენ;

- სახელმწიფოს აძლევს ბერკეტს, ამგვარი მონიტორინგითა და ინფორმაციის შეგროვებით, **ჩაერიოს ადამიანების რწმენისა და აღმსარებლობის დაცულ უფლებაში, მათ პირად ცხოვრებაში და შეაგროვოს ადამიანების აღმსარებლობის შესახებ განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური, სენსიტიური შინაარსის მონაცემები.**

გარდა ამისა, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი, უპირველეს ყოვლისა, მიზნად ისახავს ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო ორგანიზაციების დევნასა და ლიკვიდაციას. წლებია, სწორედ ეს არასამთავრობო ორგანიზაციები, მათ შორის, TDI, ეხმარებიან მოწყვლად ჯგუფებს, რელიგიურ ორგანიზაციებს და ადამიანებს, დაიცვან საკუთარი უფლებები; ეწევიან სახელმწიფო პოლიტიკის, დისკრიმინაციისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების მონიტორინგს, დოკუმენტირებას და ადვოკატირებას; მსხვერპლებს უწევენ უფასო იურიდიულ დახმარებას; ხელს უწყობენ სამოქალაქო ცნობიერებისა და ტოლერანტობის კულტურის ზრდას. უფლებადაცვითი ორ-

განიზაციების შესუსტება და გაქრობა რელიგიურ უმცირესობებს და სხვა მოწყვლად ჯგუფებს კიდევ უფრო დაუცველს გახდის.

1.3. „ქართული ოცნების“ ინიციატივა მართმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შესახებ

2024 წლის აგვისტოში მმართველმა პარტიამ, „ქართულმა ოცნებამ“, გამოაცხადა ინიციატივა საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომლის მიზანი იყო მართლმადიდებელი ქრისტიანობის საქართველოს სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება. მმართველმა პარტიამ ეს წინადადება წარმოადგინა, როგორც „ეროვნული ღირებულებებისა და ტრადიციების დაცვისკენ“ მიმართული ნაბიჯი, რომელიც მათი წინასაარჩევნო დაპირებების ფარგლებში, მიზნად ისახავდა მართლმადიდებელი ეკლესიის როლის გაძლიერებას საზოგადოებაში. პარტიის დამფუძნებელმა და ოლიგარქმა ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, რომ ქრისტიანობა, სამშობლოსა და ენასთან ერთად, წარმოადგენს ქართული იდენტობის საყრდენს.[11] რეალურად კი ეს ინიციატივა ქმნიდა მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობის შეზღუდვის, მისი სახელმწიფოსადმი დაქვემდებარებისა და ინსტიტუციური სიძლიერის შესუსტების რისკს.[12]

25 აგვისტოს ამბროლაურში გამართულ „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო ღონისძიებაზე, ბიძინა ივანიშვილმა სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ „არის კიდევ ერთი, ჩვენი ქვეყნისა და სარწმუნოებისთვის ეგზისტენციალურად მნიშვნელოვანი საკითხი...“.[13] მომდევნო დღეს, 26 აგვისტოს, მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ქართულ ოცნებას“ სურდა მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად გამოეცხადებინა, რის შესახებაც საპატრიარქოში შეხვედრები მიმდინარეობდა.[14] ამ საკითხზე დისკუსიების არსებობა მომდევნო დღეებში დაადასტურა მაღალი იერარქიის არაერთმა სასულიერო პირმა და საპატრიარქოს წარმომადგენლებმა. 29 აგვისტოს საპატრიარქოში გაიმართა შეხვედრა, რომელსაც მხოლოდ ეპისკოპოსები ესწრებოდნენ.[15]

11 “ივანიშვილი: მართლმადიდებელი ეკლესიის როლი უნდა გაძლიერდეს, civil.ge, 2024 წლის 31 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/622181

12 „ეს ეკლესიის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი იქნება“ - წინასაარჩევნო საუბრები სახელმწიფო რელიგიაზე“, რადიო თავისუფლება, 2024 წლის 28 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4k7J73j

13 „ივანიშვილმა მეოთხე დაგეგმილ საკონსტიტუციო ცვლილებაზე საუბრისას „რწმენაზე“ მიანიშნა, civil.ge, 2024 წლის 25 აგვისტო,ხელმისაწვდომია.; https://civil.ge/ka/archives/621550

14 „მართლმადიდებლობა - სახელმწიფო რელიგია“ - ფორმულამ ოცნების დაპირების მე-4 პუნქტი გაარკვია“ ფორმულა, 2024 წლის 26 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/116151

15 „ჯაღმაიძე: შეთავაზება იყო კონსტიტუციურ ჩანაწერზე, ამიტომ ამ ჩარჩოში იქნება განხილვები, ტაბულა, 2024 წლის 29 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://tabula.ge/ge/news/722285-jaghmaidze-shetavazeba-iqo-konstitutsiur

მართლმადიდებელი სასულიერო პირებისა და თეოლოგების დიდმა ნაწილმა ინიციატივა კრიტიკულად შეაფასა. მათი აზრით, ხელისუფლების ეს მცდელობა ემსახურებოდა დამოუკიდებელი ინსტიტუტის ძალაუფლების შესუსტებასა და მისი ავტონომიურობის გაუქმებას.[16]

30 აგვისტოს საპატრიარქოს წარმომადგენლებსა და ხელისუფლებას შორის შედგა საბოლოო შეხვედრა, რის შემდეგაც, ნაცვლად მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისა, შეთანხმების განსხვავებული პირობები გავრცელდა. პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძის განცხადებით, სახელმწიფო და ეკლესია შეთანხმდნენ, რომ კონსტიტუციაში გაჩნდება ჩანაწერი, რომ „მართლმადიდებლობა სახელმწიფოს საყრდენია“. მისი ინფორმაციით, ამ შეხვედრას ესწრებოდა პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე, საპატრიარქოს მხრიდან კი თავად ზვიადაძე, პატრიარქის თანამოსაყდრე შიო მუჯირი, მთავარეპისკოპოსი თეოდორე ჭუაძე, პატრიარქის მდივანი მიქაელ ბოტკოველი და საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი ანდრია ჯაღმაიძე.[17]

საბოლოოდ, ბიძინა ივანიშვილმა და მის მიერ მართულმა ხელისუფლებამ ვერ მოიპოვეს ეკლესიის სრული მხარდაჭერა და მათი პოპულისტური მცდელობა, მართლმადიდებელი ეკლესია სახელმწიფოსთვის დაექვემდებარებინათ, წარუმატებელი გამოდგა.

შესაბამისად, მომდევნო დღეს ხელისუფლებამ უკვე შეცვლილი გზავნილი გაავრცელა. 31 აგვისტოს ბიძინა ივანიშვილმა ოზურგეთში წინასაარჩევნო ღონისძიებისას განაცხადა, რომ „საქართველოს კონსტიტუციაში მართლმადიდებლობის, როგორც ქართული სახელმწიფოს თვითმყოფადობის საყრდენის მისია მკაფიოდ აისახება, აგრეთვე ხაზი გაესმება მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს როგორც საქართველოს ისტორიაში, ისე ჩვენი ქვეყნის თანამედროვეობაში“. ამ ცვლილების მიზნად კი მართლმადიდებლობისა და მართლმადიდებელი ეკლესიის კონსტიტუციური სტატუსის კიდევ უფრო გამყარება დაასახელა.[18] აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლი ეხება სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობას, რომელიც ისედაც აღიარებს “საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან”.

16 „საპატრიარქო „ქართული ოცნების“ სავარაუდო განზრახვას, მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადოს, არ ეთანხმება, civil.ge, 2024 წლის 28 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/621794

17 „პროტოპრესვიტერი: შევთანხმდით ჩანაწერზე, რომ მართლმადიდებლობა სახელმწიფოებრიობის საყრდენია, ფორმულა, 2024 წლის 1-ელი სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/116389

18 „ივანიშვილი: მართლმადიდებელი ეკლესიის როლი უნდა გაძლიერდეს, civil.ge, 2024 წლის 31 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/622181

1.4. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო - ხელისუფლების რეპრესიული ინსტრუმენტი

საანგარიშო პერიოდში პრობლემურად დარჩა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს როლი და საქმიანობა, რომელიც არ ემსახურება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას და არამართლმადიდებელი რელიგიური ორგანიზაციების კონტროლის მექანიზმად განიხილება.

სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ 2014 წელს შექმნა პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში. მისი მანდატი იმთავითვე ბუნდოვანი იყო. ფორმალურად, დებულების მიხედვით, სააგენტოს საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრისათვის რელიგიის სფეროში საინფორმაციო, კვლევითი, სამეცნიერო-საგანმანათლებლო და სარეკომენდაციო საქმიანობა ევალება.[19] ამ წლების განმავლობაში ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმებში სააგენტოს რელიგიის თავისუფლების უზრუნველყოფისა და რელიგიური ორგანიზაციების მხარდაჭერის მიმართულებით არაერთი ვალდებულების შესრულებაზე ჰქონდა აღებული პასუხისმგებლობა. მათ შორის იყო რელიგიისა და რწმენის თავისუფლებით დაცული ინდივიდუალური უფლებებით სრულყოფილად სარგებლობის მიზნით სათანადო კანონმდებლობის გადახედვა და, საჭიროების შემთხვევაში, მთავრობისთვის რეკომენდაციების წარდგენა, კანონმდებლობაში უთანასწორობის აღმოფხვრაზე მუშაობა, რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობების ისტორიული მესაკუთრის განსაზღვრა და შენობა-ნაგებობის გადაცემა და სხვა. მისი 10-წლიანი არსებობის მანძილზე, სააგენტოს არცერთი ეს ვალდებულება არ შეუსრულებია. მეტიც, იგი მუდმივად ქმნიდა დაბრკოლებებს კანონმდებლობაში რელიგიისა და რწმენის თავისუფლების სტანდარტების გაუმჯობესებისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრისთვის. სააგენტოს საქმიანობა და რიტორიკა სრულად დისტანცირებულია ადამიანის უფლებებისგან და რელიგიურ უმცირესობებს „უსაფრთხოების დაცვის“ ილუზორულ ჭრილში განიხილავს.[20]

გარდა ამისა, სააგენტო ხშირად აღნიშნავს, რომ მისი დახმარებით რელიგიურ გაერთიანებებს გადაეცემათ საკულტო ნაგებობები. ეს განცხადებებიც მცდარი და შეცდომაში შემყვანია. პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ სააგენტო თავს არიდებს მესაკუთრეებისთვის იმ ისტორიული რელიგიური ნაგებობების დაბრუნებას, რომლებიც მათ საბჭოთა პერიოდში ჩამოერთვათ და რომელთა დაბრუნებას ისინი დამოუკიდებლობის აღდგენიდან მოყოლებუ-

19 საქართველოს მთავრობის დადგენილება N177 საჯარო სამართლის იურიდიული პირის - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ, 2014 წლის 20 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2253315?publication=0

20 რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მანდატისა და საქმიანობის დეტალური შეფასება იხილეთ TDI-ს რელიგიისა და რწმენის თავისუფლების 2010-2019 წლების ანგარიშში, თავი 1.2. ხელმისაწვდომია: https://tdi.ge/sites/default/files/tdi-angarishi-religiis_tavisupleba_sakartveloshi_2010-2019.pdf

ლი ითხოვენ. რაც შეეხება ქონების „გადაცემას“, სახელმწიფო არადომინანტურ რელიგიურ გაერთიანებებს, მართლმადიდებელი ეკლესიისგან განსხვავებით, ქონებას მხოლოდ დროებითი სარგებლობის ფორმით აძლევს და არა საკუთრების უფლებით. ეს „დაბრუნებული“ ქონება, რომლის მესაკუთრედ კვლავ სახელმწიფო რჩება, როგორც წესი, ის ნაგებობებია, რომლებიც რელიგიურ გაერთიანებათა ფაქტობრივ მფლობელობაში იყო და რომლებშიც ისედაც აღესრულებოდა რელიგიური მსახურება. ამასთან, რელიგიური ნაგებობების კონკრეტული ვადით სარგებლობის და არა საკუთრების უფლებით გადაცემით, რელიგიური გაერთიანებები ვერ შეძლებენ შენობა-ნაგებობების სრულფასოვნად განკარგვას. ამგვარი ფორმით, სახელმწიფო იტოვებს ამ ქონების უკან მოთხოვნის, რელიგიური გაერთიანებების გაკონტროლების და მათზე ზემოქმედების შესაძლებლობას.

2024 წელს არაერთხელ გამოჩნდა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს პრობლემური როლი. დებულების მიხედვით მის ფუნქციებში შედის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და რელიგიური გაერთიანებებისთვის პრობლემურ საკითხებზე შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. მიუხედავად ამისა, წინა წლების მსგავსად, სააგენტოს არცერთხელ პოზიცია არ გამოუხატავს რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დაცვის ფუნდამენტურ საკითხებზე, მათ შორის, 2024 წელს მიღებულ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონზე, რომელიც რელიგიურ ორგანიზაციებსაც ავალდებულებს, მადისკრედიტებელ რეესტრში „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად“ დარეგისტრირებას და უქვემდებარებს მონიტორინგს, მძიმე ფინანსურ სანქციებს და განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების გამჟღავნების ვალდებულებას. იმის გასარკვევად, თუ რა პოზიცია აქვს ამ კანონის გავლენაზე რელიგიისა და რწმენის თავისუფლებასა და რელიგიურ ორგანიზაციებზე, TDI-მ სააგენტოს წერილობით კითხვით მიმართა, მაგრამ უწყებას პასუხი არ გაუცია.

სააგენტოს უარყოფითი და ადამიანის უფლებების საწინააღმდეგო როლი გამოჩნდა ადიგენში 2023-2024 წლებში მუსლიმების მიმართ განგრძობითი დევნისა და უფლებების შელახვის საქმეშიც (ვრცლად ადიგენში მუსლიმების მიმართ დევნის შესახებ იხილეთ თავი 6.2.). რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ და ადიგენის ადგილობრივმა ხელისუფლებამ პროცესს „მოლაპარაკებები“ უწოდეს. რეალურად კი სააგენტო აქტიურად მონაწილეობდა მუსლიმი თემის იძულებაში, დაეთმოთ საკუთრება და შეეწყვიტათ რელიგიური საქმიანობა. სააგენტომ ხელი შეუწყო რელიგიური შეუწყნარებლობის ნიშნით ჩადენილი სავარაუდო დანაშაულებისთვის დაუსჯელობას და დისკრიმინაციის ლეგიტიმაციას. მეტიც, მან პასუხისმგებლობა თავად მსხვერპლს დააკისრა[21].

21 რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე ზაზა ვაშაყმაძე: „სამწუხაროდ, შეთავაზება ვერ შედგა და მათი მხრიდან იყო უარი, რასაც არ ველოდით არც მე და არც სახელმწიფო. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ყველა ის შესაძლო პასუხისმგებლობა, რაც შეიძლება აქედან გამომდინარე დადგეს, თეორიულად მომავალში დაეკისრება მერაბ მიქელაძეს [მუსლიმი თემის წარმომადგენელს, რომლის მიმართაც სისტემური დევნა და მუქარა ხორციელდებოდა]. შესაბამისად, მათი მხრიდან გადადგმული ეს ნაბიჯი შეიძლება ჩაითვალოს დესტრუქციად და გამწვავების კუთხით პერსპექტივად.“, სამხრეთის კარიბჭე, 2024 წლის 3 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://sknews.ge/ka/news/40796

ამრიგად, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო არ ასრულებს მისთვის დაკისრებულ მანდატს და რეალურად მოქმედებს, როგორც სახელმწიფოს ინსტრუმენტი არადომინანტური რელიგიური ჯგუფების კონტროლისა და მათი უფლებების შეზღუდვისთვის. მისი საქმიანობა არ ეფუძნება ადამიანის უფლებების დაცვას, სცილდება სარეკომენდაციო ფორმატს და ახდენს დისკრიმინაციის, დაუსჯელობისა და დევნის ნორმალიზებას.

1.5. უკანონო თვალთვალი, მოსმენა და შანტაჟი

2021 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სავარაუდო უკანონო თვალთვალისა და მოსმენის 50,000-ზე მეტი ფაილი ანონიმურად გამოქვეყნდა და გავრცელდა. გავრცელებული საიდუმლო მასალები ხელისუფლების მიერ ჩადენილი მასშტაბური და მძიმე დანაშაულების მაგალითია, რაც სისტემურ და განგრძობით უკანონობაზე მიუთითებს. ფაილები შეიცავდა პერსონალურ მონაცემებს, პირად კომუნიკაციასა და პირადი ცხოვრების ამსახველ ინფორმაციას კონკრეტული ინდივიდების შესახებ.[22] მათი სრული უმრავლესობა შეეხებოდა რელიგიის თემატიკას. მასალები გვაჩვენებს, რომ ხელისუფლება, სავარაუდოდ, წლებია უსმენს და უთვალთვალებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და სხვა რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლებს, მათ შორის მაღალ იერარქებს, უფლებადამცველებს, რელიგიისა და რელიგიის თავისუფლების თემატიკაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, დიპლომატებს, პოლიტიკოსებს და ჟურნალისტებს.

პროკურატურის მიერ TDI-სთვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2025 წლის 5 თებერვლის მდგომარეობით, ამ დანაშაულის გამოძიების ფარგლებში დაზარალებულის სტატუსი მიენიჭა სულ 118 პირს, რომელთაგან 14 სასულიერო პირია. თუმცა კონკრეტულ პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა და ამ დანაშაულისთვის პასუხი არავის უგია. პროკურატურის ინფორმაციით, გამოძიება კვლავ გრძელდება.[23]

2024 წლის ივლისში სოციალური სამართლიანობის ცენტრმა მასობრივი უკანონო მოსმენების საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართა. მოსარჩელეთა შორის არიან სასულიერო პირები - ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსები მალხაზ სონღულაშვილი და რუსუდან გოცირიძე, მართლმადიდებელი ეკლესიის დეკანოზი გიორგი მამალაძე და მონაზონი სიდონია. მოსარჩელეები დავობენ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დაცული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევაზე.[24]

22 საქართველოს პროკურატურის 2021 წლის 18 სექტემბრის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://pog.gov.ge/news/https-pog-gov-ge-1-2

23 საქართველოს გენერალური პროკურატურის 2025 წლის 5 თებერვლის №13/6254 წერილი.

24 “ სოციალური სამართლიანობის ცენტრმა მასობრივი მოსმენების საქმეზე სტრასბურგს მიმართა, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 09 ივლისი 2024, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3FaCbU1

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების მზარდი ანტიდემოკრატიული და რეპრესიული პოლიტიკის ფონზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ უკანონო თვალთვალი, მიყურადება და შანტაჟი კიდევ უფრო მასშტაბური და ინტენსიური ფორმით გრძელდება.

1.6. „ქართული ოცნების“ სასამართლო სისტემა და გავლენა რელიგიის თავისუფლებაზე

დამოუკიდებელი მართლმსაჯულების სისტემა ადამიანის უფლებების დაცვის მთავარი გარანტია. საქართველოში დემოკრატიის უკუსვლის კვალდაკვალ, სულ უფრო მძიმდება სასამართლო სისტემის მიკერძოებულობის ხარისხი და ის ნდობის მნიშვნელოვან კრიზისს განიცდის. ევროპული კომისიის ანგარიშის მიხედვით, საქართველოში დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მიმართულებით არსებული სისტემური გამოწვევები გადაუჭრელია[25]. სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციის შეფასებით, სასამართლო სისტემაში არაფორმალური გავლენები მთავარ პრობლემად, ხოლო შერჩევითი მართლმსაჯულება ამგვარი არაფორმალური გავლენების არსებობის ერთ-ერთ მტკიცებულებად სახელდება.[26] აშშ-მ, გაერთიანებულმა სამეფომ და ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა სანქციები დაუწესეს გავლენიან და სავარაუდო პოლიტიკური დავალებების შემსრულებელ მოსამართლეებს „მნიშვნელოვან კორუფციაში ჩართულობის გამო“.[27]

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების მიერ დემოკრატიული ინსტიტუტების სრულად კონტროლის, სწრაფი უკუსვლისა და ადამიანის უფლებების მასობრივი შელახვის ფონზე მნიშვნელოვანი რეგრესი შეინიშნება რელიგიის თავისუფლებისა და რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციის საქმეებზე მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებებშიც. არსებული ტენდენციით, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ქვემდგომი სასამართლოების მიერ მიღებული დადებითი გადაწყვეტილებები, ზემდგომი სასამართლოები ამ გადაწყვეტილებებს ცვლიან ადამიანის უფლებების და თავისუფლებების საზიანოდ; ხოლო ახლად დაწყებულ საქმეებზე, უმეტეს შემთხვევაში, იმთავითვე უარყოფითი გადაწყვეტილებები გამოაქვთ. საილუსტრაციოდ, მოკლედ მიმოვიხილავთ ამ კუთხით 2023-2024 წლების ტენდენციებს:

- **ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის საქმეზე,** რომელიც ბათუმის მერიის მიერ მშენებლობაზე დაუსაბუთებელ და დისკრიმინაციულ უარს ეხება, საერთო სასამართლოებში განხილვა 2017 წლიდან ჭიანურდება. პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებშიც მერიის მხრიდან მუსლიმების მი-

25 European Commission, Georgia 2024 Report, SWD(2024) 697 final, 2024

26 „სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეებზე“ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 2025 წლის 5 მაისი, ხელმისაწვდომია: https://idfi.ge/ge/accessibility-of-judicial-acts-in-cases-of-high-public-interest

27 „სანქცირებული მოსამართლეები საქართველოს სასამართლოებში“, საქართველოს სასამართლოს გუშაგი, 2024 წლის 19 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://courtwatch.ge/articles/sanctioned-judges

მართ დისკრიმინაცია დადგინდა, 2023 წელს უზენაესმა სასამართლომ შეცვალა და ახალი, რელიგიის თავისუფლებისა და თანასწორობის ძირითადი უფლებების დამაზიანებელი გადაწყვეტილება მიიღო, საქმე კი სააპელაციო სასამართლოს დაუბრუნა ხელახლა განსახილველად. (საქმის შესახებ დეტალები იხილეთ 4.2. თავში)

- **საქართველოს ევანგელისტური ეკლესიის საქმეზე** 2022 წელს თბილისის სააპელაციო სასამართლომ შეცვალა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და პასტორ ზაალ ტყეშელაშვილს მოპასუხისთვის წლების განმავლობაში მიღებული საეკლესიო შემოწირულებების გადახდა დააკისრა. შემოწირულებები განკუთვნილი იყო ეკლესიის პირველი და ერთადერთი სამლოცველო სახლის მშენებლობის დასასრულებლად. სააპელაციო სასამართლოს უკანონო გადაწყვეტილება 2024 წელს ძალაში დატოვა უზენაესმა სასამართლომაც. (საქმის შესახებ დეტალები იხილეთ 4.3. თავში)

- **იეჰოვას მოწმეების სისხლის გადასხმის საქმეზე** 2023 წელს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ შეცვალა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც პრეცედენტული იყო სამედიცინო დაწესებულების მიერ იეჰოვას მოწმე პაციენტისთვის სისხლის გადასხმის კანონიერებისა და ამის შედეგად პაციენტის უფლებათა დარღვევის კუთხით.[28] 2022 წელს სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, პაციენტის მიერ მკაფიოდ გამოხატული ნების საწინააღმდეგოდ მისთვის სისხლის გადასხმით, სამედიცინო დაწესებულების მიერ დაირღვა პაციენტის უფლებები. უზენაესმა სასამართლომ კი პაციენტის პირადი ავტონომიის უფლებაში ჩარევა პროპორციულად მიიჩნია, რომელიც ემსახურებოდა სიცოცხლის, პირადი ავტონომიისა და საზოგადოებრივი ინტერესის დაცვას, შესაბამისად მიუთითა, რომ პირადი ავტონომიის ბრალეულ ხელყოფას ადგილი არ ჰქონია.[29]

- **მარნეულის მერიის მიერ რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების საქმეზე** თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2022 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საბიუჯეტო რესურსებით ერთი კონკრეტული რელიგიური ორგანიზაციისათვის დაფინანსება რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტად დაადგინა. 2023 წლის 7 ივნისს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო საკასაციო საჩივარი და ამით ძალაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს უკანონო გადაწყვეტილება. (საქმის შესახებ დეტალების იხილეთ მე-5 თავში)

28 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება- საქმე №ას-970-2022 ქ. თბილისი, 2023 წლის 16 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/73170/1

29 საქმის შესახებ დეტალები იხილეთ: რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოში, 2022 წლის ანგარიში, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), 2023, გვ. 31-32. ხელმისაწვდომია: https://tdi.ge/sites/default/files/tdi_forb_report_2022_geo.pdf.)

- **მუსლიმი დეპუტატის, ტარიელ ნაკაიძის საქმეზე,** რომელიც 2023 წელს პარლამენტის მხრიდან რელიგიის ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის მსხვერპლი გახდა, 2024 წელს თბილისი საქალაქო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა. (საქმის შესახებ დეტალები იხილეთ 3.4. თავში)

რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს, რელიგიის ნიშნით კანონმდებლობაში არსებული დისკრიმინაციის არაერთი საქმე სასამართლოს წარმოებაში წლებია უშედეგოდ რჩება, რაც ხელს უწყობს რელიგიური უმცირესობების მიმართ განგრძობით და სისტემურ დისკრიმინაციას. (საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენილ საქმეებზე მეტი ინფორმაცია იხილეთ 3.2. და 3.3. თავებში).

2. საპარლამენტო არჩევნების წინა და შემდგომი გარემო რელიგიის თავისუფლების, თანასწორობისა და სეკულარიზმის კონტექსტში

2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა და შემდგომ პერიოდში საქართველოს ხელისუფლება და პარტია „ქართული ოცნება“ აქტიურად იყენებდნენ ადამიანის უფლებების საწინააღმდეგო ანტიდემოკრატიულ და ანტიდასავლურ პროპაგანდას, რომელშიც ცენტრალურ თემებად მართლმადიდებელი ეკლესიის, „ოჯახური ღირებულებებისა“ და „ტრადიციების“ დაცვის საკითხები იყო წამოწეული. მეორე მხრივ, მართლმადიდებელი სასულიერო პირების დიდი ნაწილის ქადაგებებსა და საჯარო გამოსვლებში ისმოდა როგორც „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მხარდამჭერი, ისე სამოქალაქო საზოგადოების, ადამიანის უფლებების და დასავლეთის საწინააღმდეგო რიტორიკა. დადებით ტენდენციად უნდა აღინიშნოს მართლმადიდებელი სასულიერო პირების ნაწილისა და სხვა კონფესიების წარმომადგენელთა განცხადებები, რომლებითაც ისინი გმობენ პროევროპელი დემონსტრანტების წინააღმდეგ ძალადობას, ითხოვენ პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლებას და მხარს უჭერენ საქართველოს ევროპულ კურსს.

2.1. წინასაარჩევნო პერიოდი

მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისა და კონსტიტუციაში „მართლმადიდებლობის განსაკუთრებული როლის“ ასახვის დაპირებები

წინასაარჩევნო პერიოდში ხელისუფლებას ჰქონდა მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისა და, შესაბამისად, მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობისა და ავტონომიის შეზღუდვის და მისი სახელმწიფოსადმი დაქვემდებარების მცდელობა. თუმცა არაერთმა მართლმადიდებელმა სასულიერო პირმა ინიციატივისადმი სკეპტიკური და კრიტიკული დამოკიდებულება გამოთქვა და ის რელიგიური ინსტიტუტის დასუსტებისა და მისი დამოუკიდებლობის გაუქმების მცდელობად შეაფასა[30]. საბოლოოდ, საპა-

30 „ეს ეკლესიის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი იქნება“ - წინასაარჩევნო საუბრები სახელმწიფო რელიგიაზე“, ანტონ კოკაია, რადიო თავისუფლება, 2024 წლის 28 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4k7J73j

ტრიარქოსთან მოლაპარაკებების მიუხედავად, ოლიგარქმა ბიძინა ივანიშვილმა და მისმა ხელისუფლებამ ვერ შეძლეს საკუთარი წინასაარჩევნო პოპულისტური მცდელობისთვის, მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების იდეისთვის ეკლესიის მხარდაჭერის მოპოვება. ამის შემდეგ მმართველი პარტია აგრძელებდა ეკლესიისა და მართლმადიდებლობის თემებით სპეკულირებას და, საკონსტიტუციო უმრავლესობის მიღების შემთხვევაში, საარჩევნო დაპირებად აცხადებდა კონსტიტუციაში „მართლმადიდებლობის განსაკუთრებული როლის“ ასახვას.

სამოქალაქო საზოგადოების, პოლიტიკური ოპოზიციისა და დასავლელი პარტნიორების დისკრედიტაცია ანტიდასავლურ, ფსევდორელიგიურ კონტექსტში

წინასაარჩევნო პერიოდში „ქართული ოცნების“ ლიდერები, ეკლესიისა და „სარწმუნოების დაცვის“ სახელით, უფლებადამცველებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს, პოლიტიკურ ოპონენტებსა და კრიტიკულ მედიას წარმოაჩენდნენ, როგორც დასავლურ „აგენტურას“, „ეკლესიასთან მებრძოლებს“, „ეკლესიის მაგინებლებს“, „ანტიეროვნულ, ანტიეკლესიურ, რადიკალ დაჯგუფებებს“ და „მტრულად განწყობილ ძალებს“.

ხელისუფლების ანტიდასავლურ გზავნილებს და ეკლესიის თემით მანიპულირებას აძლიერებდა მის მიერ კონტროლირებული პროპაგანდისტული მედიაც. მაგალითად, ტელეკომპანია „იმედის“ საინფორმაციო გამოშვების წამყვანმა პოლიტიკური ოპოზიცია „ეკლესიის მტრებად“, ხოლო მმართველი პარტია „ეკლესიის დამცველად“ მოიხსენია[31].

სახელისუფლებო პარტიამ საარჩევნო პროპაგანდისტულ ბანერებსა და ვიდეოებში რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ დაბომბილი უკრაინის, მათ შორის, დანგრეული ეკლესიების კადრები გამოიყენა. „ქართული ოცნება“ ამ შემთხვევაშიც მანიპულირებდა რელიგიით და ამომრჩეველს მიანიშნებდა, რომ ოპოზიციური სუბიექტების არჩევა მოიტანდა ომსა და ეკლესიების ნგრევას[32].

მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქო და სასულიერო პირები მმართველი პარტიის წინასაარჩევნო კამპანიაში

წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ეკლესიის თემებით პოპულისტური სპეკულირების პარალელურად, მმართველი პარტიის და ხელისუფლების წარმომადგენლები აქტიურად სტუ-

31 „მმართველი გუნდი საქართველოსთვის მნიშვნელოვანი კიდევ ერთი ინსტიტუციის დაცვას კონსტიტუციით აპირებს“, „ქრონიკის“ სიუჟეტი, ტელეკომპანია „იმედი“, 2024 წლის 2 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/43yS1jc

32 „წინასაარჩევნო პერიოდში რელიგიის თავისუფლების, თანასწორობისა და სეკულარობის კუთხით არსებულიგარემო, 2024 წლის 25 სექტემბრიდან 25 ოქტომბრამდე პერიოდი“, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), 2024 წელი, ხელმისაწვდომია: https://tdi.ge/sites/default/files/cinasaarchevno_garemo_religiis_tavisupleba_tanascoroba_sekularizmi_25.09-25.10.2024.pdf

მრობდნენ ეკლესია-მონასტრებს და ჩნდებოდნენ მართლმადიდებელ სასულიერო პირებთან ერთად. პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ და პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა, თანაპარტიელებთან ერთად, არაერთი ეკლესია და მონასტერი მოინახულეს[33].

თავის მხრივ, მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირების დიდი ნაწილი ქადაგებებსა და საჯარო გამოსვლებში აკეთებდა როგორც ხელისუფლების მხარდამჭერ, ისე სამოქალაქო საზოგადოების, ადამიანის უფლებების და დასავლეთის საწინააღმდეგო განცხადებებს. მაგალითად, საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის 22 ოქტომბრის განცხადებაში ჩანდა როგორც სახელისუფლებო პარტიის, ისე მისი პროპაგანდისტული ინიციატივების მხარდაჭერა.[34] საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ასევე გამოეხმაურა[35] „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ საკანონმდებლო პაკეტის მიღებას[36], რომელიც მთელ რიგ ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს ზღუდავს და ცენზურას აკანონებს, და იგი „საზოგადოების კეთილდღეობისთვის“ წინგადადგმულ ნაბიჯად შეაფასა. მართლმადიდებელი სასულიერო პირების დიდი ნაწილის ანტიდასავლურ გზავნილებში ცენტრალური თემები იყო დასავლეთის მიერ წარმოებული „ლგბტ პროპაგანდა“[37] და მათ მიერ საქართველოს შიდა პოლიტიკაში ჩარევა[38].

33 ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) მონიტორინგის ანგარიშები, „წინასაარჩევნო პერიოდში რელიგიის თავისუფლების, თანასწორობისა და სეკულარობის კუთხით არსებული გარემოს მიმოხილვა“, 2024 წლის 25 აგვისტოდან 25 სექტემბრამდე პერიოდი და 2024 წლის 25 სექტემბრიდან 25 ოქტომბრამდე პერიოდი

34 საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის განცხადება, 2024 წლის 22 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/share/p/1CJXTGxncT/

35 საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის განცხადება, 2024 წლის 4 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/share/p/1EB77SSVRh/

36 საკანონმდებლო პაკეტი, N 07-3/446/10, საქართველოს პარლამენტი, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/28706

37 ანდრია ჯაღმაიძე: „დღევანდელ რეალობაში ეკლესიას აქვს ძალიან აქტიური ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და კონსტიტუციაში ასეთი ჩანაწერის გაკეთება იქნება ფაქტის კონსტატაცია”, ტელეკომპანია იმედი, 2024 წლის 2 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://imedinews.ge/ge/politika/351080/andria-jagmaidze-dgevandel-realobashi-eklesias-aqvs-dzalian-aqtiuri-chartuloba-sazogadoebriv-tskhovrebashi-da-konstitutsiashi-aseti-chanatseris-gaketeba-iqneba-paqtis-konstatatsia

38 მეუფე იაკობი: „დასრულდება არჩევნები და ღვთის შეწევნით ყველაფერი კარგად იქნება, რადგან ეს საქართველოა და ქართველები გადავწყვეტთ საქართველოს ბედს“, ტელეკომპანია „იმედი“, 2024 წლის 28 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://imedinews.ge/ge/archevnebi-2024/350492/meupe-iakobi-dasruldeba-archevnebi-da-gvtis-shetsevnit-kvelaperi-kargad-iqneba-radgan-es-saqartveloa-da-qartvelebi-gadavtskvett-saqartvelos-beds

2.2. არჩევნების შემდგომი პერიოდი

,,ქართული ოცნების“ მიერ მართლმადიდებელი ეკლესიითა და რელიგიით მანიპულირება

არჩევნების დღეს და არჩევნების შემდგომ პერიოდში „ქართული ოცნების“ პროპაგანდისტულ ნარატივებს შორის ჭარბობდა განცხადებები, რომ საპარლამენტო არჩევნები იყო „უღმერთობასა და სულიერებას[39], ქრისტიანობასა და ურწმუნოებას, უცხო იდენტობასა და ტრადიციულ ფასეულობებს[40] შორის არჩევანი“, ხოლო პოლიტიკური ოპოზიცია ებრძვის ტრადიციებსა და მართლმადიდებელ ეკლესიას, და ამიტომაც დამარცხდა[41]. ანტიდასავლურ გზავნილებში ყველაზე ხშირად ისმოდა, რომ დასავლეთი გვაიძულებს, „უარი ვთქვათ სარწმუნოებასა და ტრადიციებზე“[42]; არასამთავრობო ორგანიზაციები, დასავლეთის დახმარებით[43], აფინანსებენ რადიკალიზმს, ექსტრემიზმს, უტევენ ეკლესიას, პატრიარქს, სარწმუნოებასა და ტრადიციებს“[44].

39 შალვა პაპუაშვილი -„დღეს არის არჩევანი ბოროტებასა და სიკეთეს შორის, უღმერთობასა და სულიერებას შორის, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ დღეს ყველა, ქუდზე კაცი დაირაზმოს“, ინტერპრესნიუსი, 2024 წლის 26 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/817863-shalva-papuashvili-dges-aris-archevani-boroteba-sa-da-siketes-shoris-ugmertobasa-da-sulierebas-shoris-amitom-mnishvnelovania-rom-dges-qvela-kudze-kaci-dairazmos/

40 შალვა პაპუაშვილი: „ჩვენი ეროვნული ინტერესი მარტივია - ჩვენ უნდა გავამთლიანოთ სამშობლო და განვავითაროთ ჩვენი ქვეყანა. ეს არის ჩვენი ქართული ოცნება: ერთიანი, ძლიერი, დამოუკიდებელი საქართველო“, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, 2024 წლის 25 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.parliament.ge/media/news/shalva-papuashvili-chveni-erovnuli-interesi-martivia-chven-unda-gavamtlianot-samshoblo-da-ganvavitarot-chveni-kveqana-es-aris-chveni-kartuli-otsneba-ertiani-dzlieri-damoukidebeli

41 შალვა პაპუაშვილი: „ჩვენ ვხედავდით, ბოლო პერიოდში როგორი მცდელობა არის ოპოზიციის მხრიდან, რომ ყველაფერს ქართულს, ტრადიციულს, ისტორიულს მიაყენონ შეურაცხყოფა. ვნახეთ, თუ რა პასუხი გასცა ამ ყველაფერს 26 ოქტომბერს ქართველმა ხალხმა”, ტელეკომპანია „იმედი“, 2024 წლის 7 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://imedinews.ge/ge/politika/361160/shalva-papuashvili-chven-vkhedavdit-bolo-periodshi-rogori-mtsdeloba-aris-opozitsiis-mkhridan-rom-kvelapers-qartuls-traditsiuls-istoriuls-miakenon-sheurat-skhkopa-vnakhet-tu-ra-pasukhi-gastsa-am-kvelapers-26-oqtombers-qartvelma-khalkhma

42 სოზარ სუბარი: „მიმდინარეობს ბრძოლა ცივილიზაციასა და ანტიცივილიზაციას შორის და ამ ბრძოლაში ჩვენს სამშობლოს, სარწმუნოებასა და ღირებულებებს სავაჭროდ არ გავხდით“, ტელეკომპანია „იმედი“, 2024 წლის 8 ნოემბერი,ხელმისაწვდომია:https://imedinews.ge/ge/politika/361272/sozar-subari-mimdinareobs-brdzola-tsivilizatsiasa-da-antitsivilizatsias-shoris-da-am-brdzolashi-chvens-samshoblos-sartsmunoebasa-da-girebulebebs-savachrod-ar-gavkhdit

43 კახა კალაძე რიგი მედიასაშუალების ჟურნალისტების ბულინგზე - „არ ვიცი, საელჩოები სად არიან ჩამძვრალები, ხმას არ იღებენ“, ინტერპრესნიუსი, 2024 წლის 19 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/820858-kaxa-kalaze-rigi-mediasashualebis-zhurnalistebis-bulingze-ar-vici-saelchoebi-sad-arian-chamzvralebi-xmas-ar-igeben

44 კახა კალაძე: „ამერიკელებსაც აქვთ სურვილი, იცოდნენ, თუ როგორ იხარჯება თანხები და რა მიმართულებით მიედინება ფული“, ტელეკომპანია „იმედი“, 2024 წლის 3 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://imedinews.ge/ge/politika/364847/kakha-kaladze-amerikelebsats-aqvt-survili-itsodnen-tu-rogor-ikharjeba-tankhebi-da-ra-mimartulebit-miedineba-puli

„ქართული ოცნება“ და მათი სატელიტები მიმართავდნენ სხვადასხვა მანიპულაციურ გზას, მაგალითად, წინსწრებით „იკავებდნენ“ იმ ცნებებს, რომლებიც ოპონენტებს, შესაძლოა, მათი მისამართით გამოეყენებინათ (ფაშიზმი, საბჭოთა ტაქტიკა და რეპრესიები), და ამ ცნებებს, ფასეულობების აღრევის შემოსატანად, უკავშირებენ მათთვის არასასურველ იდეოლოგიას (ლიბერალიზმი).[45]

საპატრიარქოს მიერ ,,ქართული ოცნების“ ,,გამარჯვების“ აღიარება და მართლმადიდებელი სასულიერო პირების ნაწილის კრიტიკული განცხადებები

2024 წლის 16 ნოემბერს, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ, 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების საბოლოო შემაჯამებელი ოქმის დამტკიცების შემდეგ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ „ქართულ ოცნებას“ არჩევნებში დიდი უმრავლესობით „გამარჯვება“ მიულოცა. 25 ნოემბერს კი ერთპარტიული პარლამენტის პირველ სხდომას ესწრებოდნენ საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი, დეკანოზი ანდრია ჯაღმაიძე, დეკანოზი მიქაელ ბოტკოველი და პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე. საპატრიარქოს მიერ დეკლარირებული ოფიციალური მხარდაჭერა, „ქართულმა ოცნებამ“ ანტიდასავლურ, ანტიოპოზიციურ პროპაგანდისტულ გზავნილებთან ერთად არჩევნების „სახალხო ლეგიტიმაციის“ წყაროდ გამოიყენა[46].

მართლმადიდებელი სასულიერო პირების ნაწილი „ქართული ოცნების“ „გამარჯვებას“ ეკლესიის დაცვას, ქრისტიანული ღირებულებებისა და ტრადიციების შენარჩუნებას უკავშირებდა. პოლიტიკური ოპოზიცია და დასავლეთი კი მათ ნარატივებში წარმოჩენილი იყო, როგორც ამ ღირებულებებთან მებრძოლი კოლექტიური ძალა[47].

45 “არჩევნების შემდგომ პერიოდში რელიგიის თავისუფლების, თანასწორობის და სეკულარობის კუთხით არსებული გარემო, 2024 წლის 26 ნოემბრიდან 26 დეკემბრამდე პერიოდი, „ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), ხელმისაწვდომია: https://tdi.ge/sites/default/files/archevnebis_shemdgom_periodshi_religiis_tavisuplebis_tanascorobis_da_sekularobis_kutxit_arsebuli_garemo_2024_clis_26_noembridan_26_dekembramde_periodi.pdf

46 მამუკა მდინარაძე - „არჩევნებს არა მხოლოდ ეუთო/ოდირის და დამკვირვებლების მხრიდან აქვს ლეგიტიმაცია, არამედ სახალხო ლეგიტიმაციაც აქვს, რომლის მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს საპატრიარქოს და პატრიარქის პოზიცია“, ინტერპრესნიუსი, 2024 წლის 17 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/820590-mamuka-mdinaraze-archevnebs-ara-mxolod-eu-toodiris-da-damkvirveblebis-mxridan-akvs-legitimacia-aramed-saxalxo-legitimaciac-akvs-romlis-magal-xarisxs-uzrunvelqops-sapatriarkos-da-patriarkis-pozicia/

47 “არჩევნების შემდგომ პერიოდში რელიგიის თავისუფლების, თანასწორობის და სეკულარობის კუთხით არსებული გარემო, 2024 წლის 26 ოქტომბრიდან 26 ნოემბრამდე პერიოდი“, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), ხელმისაწვდომია; https://tdi.ge/sites/default/files/archevnebis_shemdgom_periodshi_religiis_tavisuplebis_sekularobis_da_tanascorobis_kutxit_arsebuli_garemo_26.10-26.11.2024_1.pdf

უნდა აღინიშნოს, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირების ნაწილმა გაავრცელა კრიტიკული განცხადებები საპარლამენტო არჩევნების სავარაუდო მასობრივ გაყალბებასა და შედეგებზე[48].

ძირითადი ნარატივები პროევროპული დემონსტრაციების შესახებ

„ქართული ოცნებისა“ და მართლმადიდებელი სასულიერო პირების ნაწილის განცხადებები - „გარედან მართული პროცესი, რომელიც ებრძვის მართლმადიდებელ ეკლესიას, ტრადიციებსა და სახელმწიფო სუვერენიტეტს“.

„ქართული ოცნების“ ლიდერები და მათი სატელიტური პარტიები აქტიურად ცდილობდნენ 28 ნოემბერს დაწყებული, მშვიდობიანი, პროევროპული საპროტესტო აქციების დისკრედიტაციას და დემონსტრანტების „გარედან მართულ“, „ქრისტიანულ ღირებულებებთან მებრძოლ“ და ანტირელიგიურ ძალად წარმოჩენას. ყველა ამ ნარატივს აერთიანებდა ანტიდასავლური კონტექსტი, სადაც ევროპა ქრისტიანობის, სულიერებისა და ეროვნული ღირებულებების საწინააღმდეგო სივრცედ მოიაზრება.

„ქართული ოცნებისა“ და მასთან აფილირებული პოლიტიკური სუბიექტების პროპაგანდას აძლიერებდნენ საქართველოს საპატრიარქო, მართლმადიდებელი სასულიერო პირების ნაწილი და პროპაგანდისტული სახელისუფლებო მედია. ყველაზე თვალსაჩინო იყო მათ მიერ ერთობლივად მართული და წარმოებული სიცრუის ტირაჟირების კამპანიები, რომლებითაც მშვიდობიანი, პროევროპული დემონსტრაციები „წითელ ტერორად“, ხოლო დემონსტრანტები მართლმადიდებელ ეკლესიასთან მებრძოლ „ბოლშევიკებად“ გამოაცხადეს. ერთ-ერთი მაგალითი იყო დეკანოზი შალვა კეკელიას მიერ გავრცელებული გაზვიადებული და ცრუ ინფორმაცია, თითქოს დემონსტრანტები მის ეკლესიას არბევდნენ[49]. თუმცა, 17 დეკემბერს, დეკანოზმა მის მიერვე გავრცელებული ინფორმაცია უარყო და ონლაინმედია „პუბლიკასთან“ ინტერვიუში თქვა, რომ დემონსტრანტები „ეკლესიაში ფიზიკურად არ შეჭრილან“[50].

48 „არჩევნების შემდგომ პერიოდში რელიგიის თავისუფლების, თანასწორობის და სეკულარობის კუთხით არსებული გარემო, 2024 წლის 26 ოქტომბრიდან 26 ნოემბრამდე პერიოდი“, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), ხელმისაწვდომია: https://tdi.ge/sites/default/files/archevnebis_shemdgom_periodshi_religiis_tavisuplebis_sekularobis_da_tanascorobis_kutxit_arsebuli_garemo_26.10-26.11.2024_1.pdf

49 „არჩევნების შემდგომ პერიოდში რელიგიის თავისუფლების, თანასწორობის და სეკულარობის კუთხით არსებული გარემო, 2024 წლის 26 ნოემბრიდან 26 დეკემბრამდე პერიოდი“, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), ხელმისაწვდომია: https://tdi.ge/sites/default/files/archevnebis_shemdgom_periodshi_religiis_tavisuplebis_tanascorobis_da_sekularobis_kutxit_arsebuli_garemo_2024_clis_26_noembridan_26_dekembramde_periodi.pdf

50 „ვაკეში მარშის დროს ეკლესიაში ფიზიკურად არ შემოჭრილან“ - დეკანოზი შალვა კეკელია, „პუბლიკა“, 2024 წლის 17 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://publika.ge/vakeshi-marshis-dros-eklesiashi-fizikurad-ar-shemochrilan-dekanozi-shalva-kekelia/

მართლმადიდებელი სასულიერო პირებისა და სხვადასხვა კონფესიისა და ეთნოსის წარმომადგენელთა ძალადობის დამგმობი და პროევროპული დემონსტრაციების მხარდამჭერი განცხადებები

დემონსტრაციების დაწყების დღიდან დადებით ტენდენციად უნდა აღინიშნოს მართლმადიდებელი სასულიერო პირების განცხადებების მზარდი რაოდენობა, რომლითაც ისინი გამოხატავენ მტკიცე მხარდაჭერას პროევროპელი დემონსტრანტების, პოლიტიკური პატიმრებისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი პირების მიმართ. ისინი ქრისტიანული პერსპექტივიდან საუბრობენ ადამიანის ღირსებაზე, თანასწორობასა და თავისუფლებაზე, გმობენ პოლიტიკურ რეპრესიებს და მხარს უჭერენ საქართველოს პროევროპულ კურსს.[51]

ასეთივე მხარდამჭერი და ძალადობის დამგმობი არაერთი განცხადება გაავრცელეს სხვადასხვა რელიგიური და ეთნიკური თემის ლიდერებმა და წარმომადგენლებმაც. მაგალითად, საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს წევრმა რელიგიურმა ორგანიზაციებმა დაგმეს დემონსტრანტების წინააღმდეგ ძალადობა და ყურადღება გაამახვილეს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ევროინტეგრაციის კურსის მნიშვნელობაზე[52]. სხვადასხვა კონფესიის სასულიერო პირებმა 7 დეკემბერს[53] დემონსტრანტებზე ძალადობის წინააღმდეგ და ნაწამები ადამიანების მხარდასაჭერად მსვლელობა გამართეს და განცხადებები გაავრცელეს.[54] 25 დეკემბერს კი თბილისში „ერთიანობის მარში“[55] გაიმართა, რომელშიც ეთნიკურად აზერბაიჯანელები, სომხები, ებრაელები, ქისტები, ქურთები და სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მარშის ბოლოს, პარლამენტთან, აქციის მონაწილეებმა ებრაელ თემთან ერთად, ხანუქის დღესასწაულიც აღნიშნეს.

51 ამ მხრივ აღსანიშნავია, ბელგიისა და ჰოლანდიის ეპარქიის, ფოთისა და ხობის ეპარქიის მიტროპოლიტ გრიგოლ ბერბიჭაშვილის, დეკანოზ ზაზა თევზაძის, დეკანოზ გიორგი წეროძის, არქიმანდრიტ დოროთე ყურაშვილის, ჩრდილოეთ ამერიკის ეპისკოპოსის, საბა ინწკირველის, დმანისისა და აგარაკ-ტაშირის მთავარეპისკოპოსის, ზენონ იარაჯულის, მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსის, მელქისედეკ ხაჩიძის, თბილისის სამების ტაძრის არქიმანდრიტის, შიო კვარაცხელიას, არქიმანდრიტ ილია ჯინჯოლავას, სურამის და ხაშურის ეპისკოპოსის, სვიმეონ ცაკაშვილის, მღვდელ ლეონ გელოვანის, მღვდელ იერონიმე ქათამაძის, ფოთის საკათედრო ტაძრის მღვდლის, კირიონ უგრეხელიძისა და სხვათა საჯარო განცხადებები და ქადაგებები. იხ. ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) მონიტორინგის ანგარიშები, არჩევნების შემდგომ პერიოდში რელიგიის თავისუფლების, თანასწორობის და სეკულარობის კუთხით არსებული გარემო, 2024 წლის 26 ნოემბრიდან 26 დეკემბრამდე პერიოდი , 23-25 გვ. და 2024 წლის 26 დეკემბერი - 2025 წლის 31 იანვარი, 11-13 გვ.

52 რელიგიათა საბჭო: „კატეგორიულად ვგმობთ დემონსტრანტების წინააღმდეგ ძალადობას“, ტაბულა, 2024 წლის 1 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://tabula.ge/ge/news/726672-religiata-sabcho-kategoriulad-vgmobt

53 „სხვადასხვა კონფესიის სასულიერო პირები რუსთაველზე საპროტესტო აქციას შეუერთდნენ“, ტელეკომპანია „ფორმულა“, 2024 წლის 7 დეკემბერი ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/121289

54 მათ შორის, საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის მიტროპოლიტმა, მალხაზ სონღულაშვილმა, საქართველოს ევანგელისტურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსმა რუსუდან გოცირიძემ, ევანგელისტური ეკლესიის პასტორმა, ზაალ ტყეშელაშვილმა, ბათუმის „თავისუფლების მეჩეთის“ იმამმა მამუკა ნაკაიძემ და სხვებმა. იხ. ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) მონიტორინგის ანგარიშები, არჩევნების შემდგომ პერიოდში რელიგიის თავისუფლების, თანასწორობის და სეკულარობის კუთხით არსებული გარემო, 2024 წლის 26 ნოემბრიდან 26 დეკემბრამდე პერიოდი, გვ 26-27

55 ფეისბუქ პოსტი, პუბლიკა, 2024 წლის 25 დეკემბერი, https://www.facebook.com/share/p/161uacCxEH/

3. დისკრიმინაცია საქართველოს კანონმდებლობაში

პრობლემად რჩება კანონმდებლობაში არსებული დისკრიმინაციული ნორმები, რომლებიც რელიგიური უმცირესობების მიმართ დიფერენცირებულ მიდგომებს ამკვიდრებს და საგამონაკლისო პრივილეგიებსა და უფლებებს მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის აწესებს. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს კანონმდებლობაში არსებული დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად დღემდე არანაირი ნაბიჯი არ გადაუდგამთ. პირიქით, ხელისუფლებამ საანგარიშო პერიოდშიც განაგრძო ახალი დისკრიმინაციული და ადამიანის უფლებების საწინააღმდეგო კანონმდებლობის მიღება, რომლის მაგალითია 2024 წელს მიღებული „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი (რუსული კანონი). კანონი, სხვა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მსგავსად, რელიგიურ ორგანიზაციებსაც ავალდებულებს მასტიგმატიზებელ რეესტრში „უცხოური ძალის ინტერესების გამტარად“ დარეგისტრირებას, თუკი მათი წლიური დაფინანსების 20%-ზე მეტი უცხოური წყაროებიდანაა (ამ საკითხზე დეტალურად იხილეთ თავი 1.2).

3.1. დისკრიმინაცია თავდაცვის კოდექსში

2023 წლის სექტემბერში თავდაცვის ახალი საკანონმდებლო პაკეტის მიღებით საქართველოს კანონმდებლობაში რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციის ახალი კერა გაჩნდა. კერძოდ, მართლმადიდებელი სასულიერო პირების ყოველგვარი სამხედრო ვალდებულებისგან გათავისუფლების ფონზე (რასაც მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმების მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს), არამართლმადიდებელი სასულიერო პირებისთვის გაუქმდა სამხედრო სამსახურის გავლის გადავადების შესაძლებლობა (რომელიც, პრაქტიკულად, სამხედრო სამსახურისგან გათავისუფლებას ნიშნავდა) და ისინი არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლას დაექვემდებარნენ. არამართლმადიდებელი სასულიერო პირები აგრეთვე ჩაირიცხებიან თავდაცვის ძალების რეზერვში მაშინ, როდესაც მართლმადიდებელი სასულიერო პირები ამ ვალდებულებისგანაც თავისუფლდებიან. გარდა დისკრიმინაციული მოწესრიგებისა, თავდაცვის კოდექსმა შემოიღო ახალი რეგულაცია (კოდექსის 97-ე მუხლის

მე-5 ნაწილის ,,კ" ქვეპუნქტი), რომლის მიხედვითაც, სამობილიზაციო რეზერვის აღრიცხვის მიზნით, სამობილიზაციო რეზერვის ელექტრონულ სისტემაში შეიტანება ისეთი განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემები, როგორიცაა ადამიანის რწმენა და აღმსარებლობა.[56]

ხსენებული რეგულაციების აღსრულების პრაქტიკის შესახებ საჯარო ინფორმაცია TDI-მ შესაბამისი სამთავრობო უწყებებისგან გამოითხოვა.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ვთხოვეთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ 2024 წლის განმავლობაში რამდენმა წვევამდელმა ისარგებლა „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ალტერნატიული შრომითი სამსახურის (მათ შორის, საქართველოში მოქმედ რელიგიურ ორგანიზაციებში) გავლის შესაძლებლობით; ამასთან, რამდენი პირი იქნა გაწვეული ამ სამსახურში რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლების მოტივით და რამდენი სასულიერო პირობის საფუძვლით; ასევე, სასულიერო პირთა შემთხვევაში, რომელი რელიგიური გაერთიანების რამდენი სასულიერო პირი იქნა გაწვეული.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის[57] თანახმად, საანგარიშო პერიოდში არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვეულ იქნა 275 სასულიერო პირი, თუმცა, მოთხოვნის მიუხედავად, არ მოუწოდებიათ ინფორმაცია, რომელ რელიგიურ გაერთიანებებს წარმოადგენდნენ ეს პირები.

სააგენტომ ასევე გვაცნობა, რომ, 2024 წელს კანონმდებლობაში შესული ცვლილებების შესაბამისად, წვევამდელებს არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის შესაძლებლობა საქართველოში მოქმედ რელიგიურ ორგანიზაციებში არ ჰქონიათ. ეს იმას ნიშნავს, რომ ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვეულ სასულიერო პირებს, არ ჰქონდათ შესაძლებლობა, ეს სამსახური თავიანთ რელიგიურ ორგანიზაციებში გაევლოთ. ეს გარემოება საგულისხმოა იმის ფონზე, რომ ახალი თავდაცვის კანონმდებლობის მიღებამდე, განხილვის ეტაპზე, თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები რელიგიურ გაერთიანებებს არწმუნებდნენ, რომ მათი სასულიერო პირებისათვის სამხედრო სამსახურში გაწვე-

56 რელიგიისა და რწმენის თავისუფლებისა და რელიგიის ნიშნით თანასწორობის ძირითად უფლებებთან მიმართებით თავდაცვის ახალი კანონმდებლობის დეტალური მიმოხილვისთვის იხ. რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოში, 2023 წლის ანგარიში, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), 2024, გვ. 8-10. ხელმისაწვდომია: https://tdi.ge/sites/default/files/religiis_tavisupleba_sakartveloshi_2023_tdi.pdf

57 სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს 2025 წლის 18 თებერვლის SESA 4 25 00182644 და 27 თებერვლის SESA 4 25 00221956 წერილები.

ვის გადავადების შესაძლებლობის გაუქმება და მათი არასამხედრო, ალტერნატიულ სამსახურში გაწვევა არ გამოიწვევდა რელიგიური გაერთიანებებისაგან ამ სასულიერო პირების მოწყვეტას, ვინაიდან ისინი შეძლებდნენ არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური თავიანთივე რელიგიურ გაერთიანებებში გაევლოთ, რის შესაძლებლობასაც იმდროინდელი კანონმდებლობა იძლეოდა. კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 დეკემბრის №391 დადგენილების თანახმად, არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლა შესაძლებელი იყო აგრეთვე „საქართველოში კანონიერ საფუძველზე მოქმედი რელიგიური ორგანიზაციების მიერ წარმოებული სამშენებლო, სარემონტო და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულებით“.

საქართველოს მთავრობის ეს დადგენილება ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს მთავრობის 2024 წლის 2 აპრილის N120 დადგენილებით, რომელიც საქართველოში მოქმედი რელიგიური ორგანიზაციების მიერ წარმოებული სამუშაოების შესრულებით არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის შესაძლებლობას აღარ ითვალისწინებს.

რაც შეეხება სამობილიზაციო რეზერვის აღრიცხვის მიზნით რეზერვში ჩარიცხვას დაქვემდებარებული პირის აღმსარებლობის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას (თავდაცვის კოდექსის 97-ე მუხლის მე-5 ნაწილის ,,კ” ქვეპუნქტი), ამის შესახებ საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ გვაცნობა,[58] რომ ამ ინფორმაციის მოპოვება ამ ეტაპზე არ ხორციელდება. ამასთან, თავდაცვის სამინისტროსთან მიმოწერის[59] საფუძველზე, შეიძლება, ითქვას, რომ ამ ინფორმაციის შეგროვების წესი მოქმედი კანონმდებლობით საერთოდ არ არის განსაზღვრული. თავდაცვის კოდექსის 98-ე მუხლით გაწერილ სამობილიზაციო რეზერვის აღრიცხვასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს შორის, რომლებიც სამობილიზაციო რეზერვის ელექტრონულ სისტემაში შესატანი ინფორმაციის მოპოვების წყაროებსა და მეთოდებს გულისხმობს, პირის აღმსარებლობის შესახებ ინფორმაციის მოპოვების გზა არ არის განსაზღვრული.

3.2. დისკრიმინაცია სახელმწიფო ქონების კანონში

დისკრიმინაციული რეგულაციები, რომლებსაც „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებდა, კვლავ უცვლელი რჩება. კერძოდ, კანონის მე-3 და მე-4 მუხლები ზღუდავს რელიგიური ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების შეძენას, გაცვლასა[60] და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული რელიგიური დანი-

58 საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2025 წლის 20 იანვრის MOD 7 25 000 38627 წერილი.

59 საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2025 წლის 12 თებერვლის MOD 3 25 000167855 წერილი.

60 იხ. ცხრა რელიგიური გაერთიანების მიერ 2019 წელს წარდგენილი კონსტიტუციური სარჩელი N 1440, ხელმისაწვდომია: https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1410.

შნულების ნაგებობებისა და მათი ნანგრევების პრივატიზებას.[61] გამონაკლისია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია. უცვლელად რჩება ასევე კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი, რომლითაც 2020 წელს მართლმადიდებელ ეკლესიას სახელმწიფო ტყეების საკუთრებაში მიღების ექსკლუზიური უფლება მიენიჭა.

ნორმები, რომლებიც რელიგიურ გაერთიანებებს უზღუდავს სახელმწიფო ქონების შეძენასა და გაცვლას, TDI-ს 2019 წლიდან აქვს გასაჩივრებული საკონსტიტუციო სასამართლოში, ხოლო პრივატიზების შემზღუდავი ნორმა - 2021 წლიდან, თუმცა სასამართლოს ამ დრომდე არ მიუღია გადაწყვეტილება.[62]

3.3. დისკრიმინაცია საგადასახადო კოდექსში

კვლავ ნარჩუნდება რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციული ნორმები საქართველოს საგადასახადო კოდექსში. კერძოდ:

- ქონების გადასახადით იბეგრება რელიგიური ორგანიზაციების ბალანსზე აღრიცხული, არაკომერციული მიზნით გამოყენებული მიწა (201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი). ამ გადასახადისგან, კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქო გათავისუფლებულია;[63]

- საღვთისმსახურო პროდუქციის შემოტანის დროს რელიგიური გაერთიანებები იმპორტის გადასახადს იხდიან (მუხლები 159 და 195). კონსტიტუციური შეთანხმების მიხედვით კი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ამ გადასახადისგანაც გათავისუფლებულია.[64]

საგადასახადო კოდექსის 201-ე მუხლის დასახელებული ნორმა TDI-ის 2019 წლიდან, ხოლო 159-ე და 195-ე მუხლები 2021 წლიდან აქვს გასაჩივრებული საკონსტიტუციო სასამართლოში, თუმცა, სახელმწიფო ქონების კანონის სადავო ნორმების მსგავსად, სასამართლოს არც მათ შესახებ მიუღია ამ დრომდე გადაწყვეტილება.[65]

61 იხ. შვიდი რელიგიური გაერთიანების მიერ 2021 წელს წარდგენილი კონსტიტუციური სარჩელი N 1640, ხელმისაწვდომია: https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=12279.

62 „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციული ნორმების შესახებ უფრო დეტალურად იხ. რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოში, 2023 წლის ანგარიში, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), 2024, გვ. 10-11. ხელმისაწვდომია: https://tdi.ge/sites/default/files/religiis_tavisupleba_sakartveloshi_2023_tdi.pdf.

63 იხ. ცხრა რელიგიური გაერთიანების მიერ 2019 წელს წარდგენილი კონსტიტუციური სარჩელი N 1422, ხელმისაწვდომია: https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1430.

64 იხ. ცხრა რელიგიური გაერთიანების მიერ 2021 წელს წარდგენილი კონსტიტუციური სარჩელი N 1593, ხელმისაწვდომია: https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=11126.

65 „საგადასახადო კოდექსის“ ხსენებული ნორმების შესახებ უფრო დეტალურად იხ. რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოში, 2023 წლის ანგარიში, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), 2024, გვ. 11. ხელმისაწვდომია: https://tdi.ge/sites/default/files/religiis_tavisupleba_sakartveloshi_2023_tdi.pdf.

რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციის კონტექსტში, ასევე საინტერესოა საგადასახადო კოდექსის 170-ე მუხლი, რომელიც საგადასახადო შეღავათებს ითვალისწინებს. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტი დღგ-ისგან ჩათვლის უფლების გარეშე ათავისუფლებს „ტაძრის ან საეკლესიო ნაგებობის რესტავრაციას ან/და მოხატვას“. აღსანიშნავია, რომ კოდექსის ძველი რედაქციით, 168-ე მუხლი (მე-2 ნაწილის „ბ” ქვეპუნქტი) ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ის გადახდისგან ათავისუფლებდა მხოლოდ საპატრიარქოს დაკვეთით ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობას, რესტავრაციასა და მოხატვას. ეს ნორმა 2018 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად და რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციულად მიიჩნია[66]. ვინაიდან საქართველოს პარლამენტმა სასამართლოს მიერ დადგენილ 6-თვიან ვადაში არ შეცვალა ნორმის შინაარსი ისე, რომ ის ყველა რელიგიურ ორგანიზაციაზე თანაბრად გავრცელებულიყო, ნორმა ძალადაკარგულად გამოცხადდა (რაც გულისხმობს, რომ ეს საგადასახადო შეღავათი გაუუქმდა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასაც).

საქართველოს პარლამენტმა 2020 წლის 14 ივლისს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებებით ხელახლა ჩაწერა მსგავსი საგადასახადო შეღავათი. განსხვავებით წინა (ძალადაკარგულად ცნობილი 168-ე მუხლის მე-2 ნაწილის “ბ” ქვეპუნქტი) რედაქციისგან, რომელიც დღგ-ისგან ჩათვლის უფლების გარეშე ექსკლუზიურად საპატრიარქოს დაკვეთით ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობას, რესტავრაციასა და მოხატვას ათავისუფლებდა, 2020 წელს შეტანილი ცვლილებით (170-ე მუხლის პირველი პუნქტის “ტ” ქვეპუნქტი) ახალი ნორმა აღარ ვრცელდება ექსკლუზიურად საპატრიარქოზე, თუმცა მასში გამოყენებული ტერმინები „ტაძარი“ და „საეკლესიო ნაგებობა“ მაინც პრობლემური და არანეიტრალური შინაარსისაა. სამწუხაროა, რომ მსგავსი შინაარსის ნორმის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობის შემდგომაც კი, საქართველოს პარლამენტმა ახალი ნორმა არანეიტრალური შინაარსის ტერმინებით ჩამოაყალიბა.

3.4. უქმე დღეებისა და რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნა

რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლების მიერ თავიანთ რელიგიურ დღესასწაულებზე უქმე დღეებით სარგებლობა საანგარიშო პერიოდშიც პრობლემური იყო, რადგან ამ საკითხის მომწესრიგებელი კანონმდებლობა უცვლელად დარჩა.

შრომის კოდექსის მიხედვით, უქმე დღეებად განსაზღვრულია 18 დღე, საიდანაც მხოლოდ 7 დღე უკავშირდება საერო მნიშვნელობის მოვლენებს, დანარჩენი 11 დღე კი, ექსკლუზიურად მართლმადიდებლურ ქრისტიანულ დღესასწაულებს. საქართველოში მცხოვრები არამართლმადიდებლების, აგრეთვე ეთნიკური თემების კულტურული და რელიგიური დღესასწაულები კი უგულებელყოფილია.

66 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის N1/2/671 გადაწყვეტილება. ხელმისაწვდომია: https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=924.

„საქართველოს შრომის კოდექსი“ განსაზღვრავს, რომ დასაქმებულს შეუძლია, დადგენილი უქმე დღეების ნაცვლად, მოითხოვოს სხვა უქმე (დასვენების) დღეები, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ხელშეკრულებით იქნება გათვალისწინებული. რელიგიურ უმცირესობებს მხოლოდ ამ ზოგადი ხასიათის წესით სარგებლობა შეუძლიათ. ამ შემთხვევაში, არსებული უქმე დღეების ნაცვლად სხვა დასვენების დღის მოთხოვნა, შრომით ხელშეკრულებასა და დამსაქმებლის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, რაც დასაქმებულს შესაბამის გარანტიებს ვერ უქმნის.[67]

დეპუტატ ტარიელ ნაკაიძის საქმე

რელიგიური უქმეებით სარგებლობის კონტექსტში, მნიშვნელოვანია დეპუტატი ტარიელ ნაკაიძის საქმე.[68] იგი 2023 წელს პარლამენტის მხრიდან რელიგიური ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის მსხვერპლი გახდა. კერძოდ, ტარიელ ნაკაიძემ 2023 წლის 28 ივნისის პლენარული სხდომა ყურბან-ბაირამის - ისლამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დღესასწაულის - აღსანიშნავად გააცდინა, რაც პარლამენტმა არასაპატიოდ ჩაუთვალა და ხელფასის 10 პროცენტი დაუკავა. 2023 წლის ოქტომბერში ტარიელ ნაკაიძემ მის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციის ფაქტზე სასამართლოს მიმართა და მოითხოვა ირიბი დისკრიმინაციის დადგენა.[69]

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 2024 წლის 30 აპრილს ტარიელ ნაკაიძის სარჩელი არ დააკმაყოფილა, იმ არგუმენტით, რომ ვინაიდან მოსარჩელე საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით განსაზღვრული ნორმატიული მოწესრიგების დისკრიმინაციულობაზე დავობდა, ამ საქმის განხილვა საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას მიეკუთვნებოდა.[70]

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის ხსენებული გადაწყვეტილება 2024 წლის 10 ივნისს TDI-მ თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. სააპელაციო სასამართლოში პირველი სხდომა სექტემბერში ჩაინიშნა, თუმცა მოულოდნელად გადაიდო. ამის შემდეგ კი საანგარიშო პერიოდში ახალი სხდომა აღარ ჩანიშნულა.

67 დეტალურად იხ. რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოში, 2023 წლის ანგარიში, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), 2024, გვ. 11-12. ხელმისაწვდომია: https://tdi.ge/sites/default/files/religiis_tavisupleba_sakartveloshi_2023_tdi.pdf.

68 საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტის წევრის, ტარიელ ნაკაიძის ინტერესებს იცავს ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI).

69 ტარიელ ნაკაიძის საქმეზე დეტალურად იხ. რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოში, 2023 წლის ანგარიში, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), 2024, გვ. 12. ხელმისაწვდომია: https://tdi.ge/sites/default/files/religiis_tavisupleba_sakartveloshi_2023_tdi.pdf

70 დეტალურად იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე N 3/7909-23 საქმეზე.

ადვენტისტი აბიტურიენტების საქმე

საანგარიშო პერიოდშიც გაგრძელდა ადვენტისტი აბიტურიენტების მიმართ რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციის საქმე. 2024 წლის თებერვალში თბილისის სააპელაციო სასამართლომ აბიტურიენტთა მიმართ რელიგიის ნიშნით ირიბი დისკრიმინაცია დაადგინა და სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს მათთვის სიმბოლური, ერთი ლარის ოდენობით, მორალური ზიანის ანაზღაურება დააკისრა. ცენტრმა გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა. გადაწყვეტილება შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა. საანგარიშო პერიოდში ცენტრის საკასაციო საჩივარს დასაშვებობის ეტაპი არ გაუვლია და, შესაბამისად, საქმის წარმოება გრძელდება.[71]

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი 2020 წლიდან იცავს მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესიის წევრი ორი აბიტურიენტის ინტერესებს, რომელთაც გამოცდების ეროვნულ ცენტრს 2020 წლის 30 ივნისს მიმართეს 18 ივლისს დანიშნული გამოცდის გადატანის თხოვნით, რადგან, რელიგიური მრწამსის გამო, მათ არ შეეძლოთ, მონაწილეობა მიეღოთ გამოცდაში შაბათ დღეს. ცენტრმა უკანონოდ და გაუმართლებლად უარყო განმცხადებლების მოთხოვნა, რითაც დაარღვია მათი რელიგიისა და რწმენის თავისუფლება, განათლებისა და თანასწორობის უფლებები. TDI-მ თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართა 2020 წლის 15 ივლისს. განცხადებით მოთხოვნილი იყო, შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს დავალებოდა, ეს აბიტურიენტები დაეშვა გამოცდაზე 17 ან 19 ივლისს, ან ნებისმიერ სხვა დღეს, გარდა შაბათისა, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა. შედეგად, აბიტურიენტებმა შეძლეს გამოცდის სხვა დღეს ჩაბარება.

ამის შემდეგ, TDI-მ 2020 წლის 24 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს წარუდგინა აბიტურიენტების სარჩელი, რომლითაც მოთხოვნილი იყო დისკრიმინაციის დადგენა რელიგიის ნიშნით, დისკრიმინაციის შედეგების აღმოფხვრა უარის სადავო აქტის ბათილად ცნობის გზით და დისკრიმინაციის გამო მორალური ზიანისათვის სიმბოლური ანაზღაურება 1 ლარის ოდენობით. 2022 წლის 20 აპრილს, თბილისის საქალაქო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სტუდენტების მოთხოვნა. სასამართლომ ბათილად ცნო გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემული სადავო აქტი, რომელიც აბიტურიენტებს გამოცდის თარიღის შეცვლის შესაძლებლობას უზღუდავდა. თუმცა საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენისა და მორალური ზიანის სიმბოლური კომპენსაციის ცენტრისათვის დაკისრების მოთხოვნები.

71 მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესიის წევრი ორი აბიტურიენტის ინტერესებს იცავს ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI).

2022 წლის აგვისტოში, TDI-მ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება თბილისის სა-აპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. 2024 წლის თებერვალში თბილისის სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა TDI-ს საჩივარი, აბიტურიენტთა მიმართ რელიგიის ნიშნით ირიბი დისკრიმინაცია დაადგინა და სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს მათთვის, სიმბოლური - ერთი ლარის ოდენობით, მორალური ზიანის ანაზღაურება დააკისრა.

4. არადომინანტური რელიგიური გაერთიანებების ქონებრივი უფლებები

არადომინანტური რელიგიური გაერთიანებებისთვის ერთ-ერთი მწვავე პრობლემა კვლავ რელიგიურ ქონებასა და სამლოცველოებთან დაკავშირებული საკითხებია. რელიგიური გაერთიანებები დაბრკოლებებს აწყდებიან როგორც საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული რელიგიური ქონების დაბრუნების, ისე ახალი სამლოცველოების მშენებლობის პროცესში. დისკრიმინაციულია კანონმდებლობაც, რომელიც, განსხვავებით მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოსგან, სხვა რელიგიურ ორგანიზაციებს უზღუდავს ქონების დაბრუნებისა და შეძენის უფლებას. რელიგიური გაერთიანების ქონებასა და დამოუკიდებლობას უკავშირდება საქართველოს ევანგელისტური ეკლესიის საქმეც, რომელიც 2022 წელს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებით (რომლის გადასინჯვაზეც უზენაესმა სასამართლომ უარი თქვა), ერთადერთი სამლოცველოს დაკარგვის საფრთხის წინაშე დადგა.

4.1. ისტორიული ქონების დაბრუნების პრობლემა

წინა წლების მსგავსად, საანგარიშო პერიოდშიც არ გადაჭრილა არადომინანტური რელიგიური გაერთიანებების ისტორიული რელიგიური ქონების რესტიტუციის საკითხი. ქონების დაბრუნების საკითხი დღის წესრიგში საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დგას. დღემდე მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ შეძლო ქონების რესტიტუცია. მართლმადიდებელი ეკლესიისგან განსხვავებით, სხვა რელიგიურ გაერთიანებებს საბჭოთა კავშირის დროს ჩამორთმეული ქონების დიდი ნაწილი არ დაუბრუნდა. ამგვარი ქონების ნაწილი სახელმწიფო საკუთრებაშია, ნაწილი კი საქართველოს საპატრიარქოს ხელში გადავიდა. მაგალითად, საპატრიარქოს მისაკუთრებული აქვს შვიდი კათოლიკური ტაძარი. 2017 წელს სახელმწიფომ თბილისში მდებარე თანდოიანცის ისტორიულად სომხური ეკლესია საპატრიარქოს გადასცა საკუთრების უფლებით. 2019 წელს კი თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფელ ასურეთში, მდებარე ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის ნაწილი, რომელიც ამავე დროს, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლია, საქართველოს საპატრიარქოს სარგებლობის უფლებით გადაეცა.[72]

72 დეტალურად იხილეთ საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 215, ხელმისაწვდომია:https://ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf

აღსანიშნავია, რომ ამ რელიგიური ნაგებობების დიდი ნაწილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებია. იმ პირობებში, როდესაც ქონება ისტორიულ და კონფესიურ მესაკუთრეს არ უბრუნდება, ის განადგურების პირას არის, მიუხედავად იმისა, რომ მათი მოვლა-პატრონობის ვალდებულება სახელმწიფოს აკისრია. რელიგიური გაერთიანებების ის ისტორიული ნაგებობები კი, რომლებიც საქართველოს საპატრიარქოს გადაეცა, კარგავს ავთენტურობას და პირველად სახეს.

საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული ქონების დაბრუნების საკითხი ყველაზე მწვავედ სომეხთა სამოციქულო, კათოლიკე, ევანგელურ-ლუთერული ეკლესიების, მუსლიმი და იუდეური თემების წინაშე დგას.[73]

კათოლიკეებისთვის მათი ისტორიული ტაძრების მონახულების ხელშეშლა

გარდა იმისა, რომ არადომინანტი რელიგიური გაერთიანებები ვერ იბრუნებენ მათთვის წართმეულ რელიგიურ ნაგებობებს, მართლმადიდებელი ეკლესია მათ ხელს იმაშიც უშლის, რომ რელიგიურ დღესასწაულებზე ამ ნაგებობებს ეწვიონ.[74] ამის მაგალითია ქუთაისში მდებარე ღვთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის ისტორიულად კათოლიკური ეკლესია, რომლის დღესასწაულიც 8 დეკემბერს აღინიშნება. ამ დღეს, ყოველწლიურად, კათოლიკე მრევლი ტაძარს სტუმრობდა და ლოცვას აღავლენდა. თუმცა, 2022 წლის ოქტომბერში, ფატიმას ღვთისმშობლის საქართველოში ჩამობრძანების დროს, მართლმადიდებელმა მღვდლებმა ტაძარი სპეციალური ლენტით შემოსაზღვრეს და პაპის ნუნციუსსა და კათოლიკე მრევლს შესვლის საშუალება არ მისცეს.

2023 წლის მაისში მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიამ ტაძრის ტერიტორიაზე ჭიშკარი დაამონტაჟა და შემოსაზღვრა[75]. 2023 წლის 8 დეკემბერს, ტაძრის დღესასწაულზე, მართლმადიდებელი ეკლესიის ქუთაის-გაენათის ეპარქიის წარმომადგენლებმა, სხვადასხვა გარემოების მომიზეზებით, კათოლიკე მრევლს ტაძარში შესვლის საშუალება არ მისცეს[76]. კათოლიკეებმა ტაძარში ლოცვა ვერც 2024 წლის 8 დეკემბერს შეძლეს. ღვთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის დღესასწაულზე, კათოლიკე მრევლისთვის ტაძრის შესასვლელი ისევ ჩაკეტეს[77].

73 დეტალური ინფორმაციისთვის საქართველოში რელიგიური ქონების რესტიტუციის პრობლემის შესახებ იხილეთ TDI-ს ანგარიში „რესტიტუციის პოლიტიკა საქართველოში“, ხელმისაწვდომია: http://tdi.ge/sites/default/files/restituciis_politika_sakartveloshi.pdf

74 დეტალურად იხ. კათოლიკე ეკლესიის საინფორმაციო სააგენტოს, Catholic.ge-ს, სიახლე, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/43dxm5o

75 იქვე.

76 დეტალურად იხ. კათოლიკე ეკლესიის საინფორმაციო სააგენტოს, Catholic.ge-ს, სიახლე, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3HqaRS8

77 დეტალურად იხ. კათოლიკე ეკლესიის საინფორმაციო სააგენტოს, Catholic.ge-ს სიახლე, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/share/p/1Kd9AY1DDu/

მსგავსი სიტუაციაა ბუზმარეთში, თურქეთ–საქართველოს სასაზღვრო ზონაში არსებულ ისტორიულად კათოლიკურ ტაძართან დაკავშირებითაც, რომელშიც კათოლიკე მორწმუნეები ამაღლების სადღესასწაულო წირვის აღსავლენად ყოველ წელს მიდიან. მართლმადიდებელი სასულიერო პირები მათ წირვას არც ტაძარში და არც ტაძრის ეზოში არ ატარებინებენ, რის გამოც, კათოლიკე სასულიერო პირები და მრევლი იძულებულები არიან, მსახურება ტაძრის ეზოს გარეთ ჩაატარონ. 2023 წელს მართლმადიდებელმა სასულიერო პირებმა ამის ხელშეშლაც სცადეს და ხელოვნურად დაიკავეს ის ადგილი, სადაც წინა წლებში კათოლიკე მორწმუნეები წირვას ატარებდნენ.[78] 2024 წლის 9 მაისს, კათოლიკეებს ლოცვაში ხელი ისევ შეეშალათ. მათ საკურთხევლის ადგილის შეცვლა მოუწიათ, რადგან ადგილზე, სადაც მათ 2023 წელს საბოლოოდ შეძლეს წირვის ჩატარება, 2024 წელს ხის ტოტების ზვინი დახვდათ, სამართალდამცავებმა კი მოსთხოვეს, საკურთხეველი სხვა ადგილზე გადაეტანათ, რათა მართლმადიდებელ სასულიერო პირებს ხელი არ შეშლოდათ[79].

4.2. ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის საქმე

საანგარიშო პერიოდში კვლავ გადაუჭრელი რჩება მუსლიმების მიერ ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის საკითხი.[80] 2017 წელს ა(ა)იპ ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდის სარჩელის საფუძველზე დაწყებულ სასამართლო დავაზე, რომელიც მშენებლობის ნებართვის გაცემაზე ბათუმის მერიის უკანონო გადაწყვეტილებას ეხება, 2023 წელს უზენაესმა სასამართლომ რელიგიის თავისუფლებისა და თანასწორობის ძირითადი უფლებების დამაზიანებელი გადაწყვეტილება მიიღო და საქმე სააპელაციო სასამართლოს დაუბრუნა ხელახლა განსახილველად. უზენაესმა სასამართლომ გააუქმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს დადებითი გადაწყვეტილება (რომელმაც, თავის მხრივ, ძალაში დატოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მსჯელობა მეჩეთის მშენებლობაზე უარის დისკრიმინაციულობის შესახებ) და თქვა, რომ ბათუმის მერიის უარი ახალი მეჩეთის მშენებლობაზე არ არის დისკრიმინაცია მუსლიმი თემის მიმართ.[81]

78 დეტალურად იხ. კათოლიკე ეკლესიის საინფორმაციო სააგენტოს, Catholic.ge-ს, სიახლე - https://bit.ly/4mx4qwM

79 დეტალურად იხ. კათოლიკე ეკლესიის საინფორმაციო სააგენტოს, Catholic.ge-ს სიახლე - https://bit.ly/3SpqThw

80 ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდის ინტერესებს ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) და სოციალური სამართლიანობის ცენტრი იცავენ.

81 ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის საქმეზე უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ უფრო დეტალურად იხ. რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოში, 2023 წლის ანგარიში, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), 2024, გვ. 15-16. ხელმისაწვდომია: https://tdi.ge/sites/default/files/religiis_tavisupleba_sakartveloshi_2023_tdi.pdf.

საანგარიშო პერიოდში საქმის განხილვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გრძელდებოდა, სადაც ერთ-ერთ სხდომაზე მხარეებმა მორიგების პირობები განიხილეს. თუმცა, ბათუმის მერიამ სასამართლოს მიერ 2023 წლის 19 დეკემბერს განსაზღვრულ 1-კვირიან ვადაში (და არც შემდგომ) მორიგების პირობებზე თავისი პოზიცია არ წარმოადგინა.

ამის შემდეგ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 2024 ნოემბერში TDI-ს აცნობა, რომ შემდეგი სხდომა ამავე წლის 26 ნოემბრისთვის დაინიშნა, თუმცა, 26 ნოემბრის დილას, მოსამართლის ჯანმრთელობის მდგომარეობის მიზეზით, სხდომა განუსაზღვრელი ვადით გადაიდო ისე, რომ ახალი სხდომის თარიღი ამ დრომდეც (2025 წლის მაისის მდგომარეობით) უცნობია.[9]

ყოველივე ამის გამო, სასამართლო პროცესი კვლავ ჭიანურდება, რაც მოცემულ საქმესთან მიმართებით ხელისუფლების დისკრიმინაციული სტრატეგიის კიდევ ერთი ნათელი გამოვლინებაა. კერძოდ, ხელისუფლების მხრიდან მუსლიმთა ფუნდამენტური უფლებების უხეშ დარღვევას განგრძობითი ხასიათი აქვს. წლების განმავლობაში, მუსლიმები ხელისუფლების მიერ შექმნილი უკანონო ბარიერების გამო ვერ ახერხებენ ბათუმში სამლოცველოს აშენებას და მათ ამ დრომდე უწევთ ღია ცის ქვეშ შეკრება და ლოცვა. ხელისუფლებამ ყველა ბერკეტი გამოიყენა, რომ საქმე არსებითად დროულად არ გადაწყვეტილიყო და სასამართლო ინსტანციებში გასაჩივრების გზით საქმე 8 წლის განმავლობაში გააჭიანურა. უზენაესი სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება და შემდგომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში პროცესის არაერთხელ გაურკვეველი ვადით გადადება კი ხელს უწყობს როგორც პროცესის გაჭიანურებას, ასევე მუსლიმების უფლებების სისტემური დარღვევის გაგრძელებას.

4.3. საქართველოს ევანგელისტური ეკლესიის საქმე

საანგარიშო პერიოდში კვლავ აქტუალური იყო საქართველოს ევანგელისტური ეკლესიის საქმე,[82] რომელშიც ევანგელისტური ეკლესიის მრევლის რწმენისა და რელიგიის თავისუფლების და სხვა ფუნდამენტური უფლებების უხეში დარღვევა შენიღბულია წინააღმდეგობრივი სამოქალაქო დავით.[83]

2022 წლის 9 ნოემბერს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ პასტორ ზაალ ტყეშელაშვილს (მოპასუხე) დააკისრა, მოსარჩელეს გადაუხადოს წლების განმავლობაში მიღებული საეკლესიო შემოწირულებები, რომლებიც განკუთვნილი იყო ეკლესიის პირველი და ერ-

82 საქართველოს ევანგელისტური ეკლესიის და მისი პასტორის ინტერესებს ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) იცავს.

83 საქართველოს ევანგელისტური ეკლესიის წინააღმდეგ წარმოებული საქმის ანგარიში, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), 2023 წლის 9 თებერვალი, ხელმისაწვდომია: http://tdi.ge/sites/default/files/sakartvelos_evangelisturi_eklesiis_sakme.pdf.

თადერთი სამლოცველო სახლის მშენებლობის დასასრულებლად. 2023 წლის 20 ნოემბერს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო ევანგელისტური ეკლესიის პასტორის, ზაალ ტყეშელაშვილის, საკასაციო საჩივარი და ამით ძალაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს უკანონო გადაწყვეტილება. 2024 წლის 3 თებერვალს, ევანგელისტური ეკლესიის პასტორს აღსრულების ეროვნულმა ბიურომ წერილობით მოსთხოვა 7 დღეში 94.000 აშშ დოლარის შეტანა სახაზინო ანგარიშზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეკლესიის მთელი ქონება გავიდოდა აუქციონზე გასაყიდად. ევანგელისტური ეკლესიის მრევლმა მიიღო გადაწყვეტილება, უმოკლეს დროში მოეხდინა უსამართლოდ დაკისრებული თანხის დროებით სარგებლობაში მობილიზება და სახელმწიფო ხაზინის ანგარიშზე შეტანა. „მართალია, ამჯერად, ევანგელისტური ეკლესიის სამლოცველო სახლი გადაურჩა აუქციონის საშუალებით თაღლითთა ხელში ჩავარდნას, მაგრამ უზომოდ დიდი ფინანსური ვალდებულებები ისევ რისკის ქვეშ ტოვებს ევანგელისტურ ეკლესიას, რომ დარჩეს ერთადერთი სამლოცველო სახლის გარეშე... ეკლესია აგრძელებს ბრძოლას ქვეყანაში სამართლიანობის და თანასწორობის დასამკვიდრებლად, საკუთარი ფუნდამენტური უფლებების დასაცავად და იმ ზარალის კომპენსაციისათვის, რომელიც მას უკანონოდ და მიზანმიმართულად მიაყენეს“. - ნათქვამია ეკლესიის განცხადებაში.[84]

ამ საქმეში მოსარჩელეები არიან აშშ-ს მოქალაქე ბიუნგ ჩან პარკი და აშშ-ში რეგისტრირებული მისივე ორგანიზაცია 12 Baskets. 2019 წელს, პარკმა სარჩელი შეიტანა ზაალ ტყეშელაშვილის წინააღმდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოში და მოითხოვა, მოპასუხეს მის სასარგებლოდ გადაეხადა ის შემოწირულებები, რომელიც მოსარჩელემ, ეკლესიის სახელით, წლების განმავლობაში შეაგროვა ქრისტიანი მორწმუნეებისგან საზღვარგარეთ.

საქმის მასალების დეტალური შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, ჩნდება გონივრული ეჭვი, რომ მოსარჩელე პარკი მოქმედებდა არაკეთილსინდისიერად და საკუთარი ბუნდოვანი ფინანსური საქმიანობისთვის იყენებდა რელიგიურ გაერთიანებებს. საქმეს ახლავს მოსარჩელის მიერ წარდგენილი სავარაუდოდ გაყალბებული დოკუმენტების ასლებიც, რომლებზეც დატანილია აშშ-ს ნოტარიუსის ბეჭედი. საქართველოს სააპელაციო სასამართლომ არა მხოლოდ უგულებელყო დოკუმენტების ასლების ავთენტურობის დასადგენად ექსპერტიზის დანიშვნის აშკარა საჭიროება, არამედ ეს საკითხი საერთოდ არ შეაფასა და, მეტიც, ხსენებული ასლების საფუძველზე, ზაალ ტყეშელაშვილს 70,000 აშშ დოლარის გადახდა დააკისრა. კერძოდ:

1. მოსარჩელე ბიუნგ ჩან პარკმა 70,000 აშშ დოლარის მოთხოვნის უფლების მტკიცებულებად სასამართლოს წარუდგინა ორი ხელშეკრულების ასლი. მან ვერ შეძლო ორიგინალი ხელშეკრულებების წარმოდგენა. მოპასუხის მოთხოვნის მიუხედავად, სასამართლომ არ დანიშნა ექსპერტიზა ამ ასლების ავთენტურობის დასადგენად;

84 იხ. საქართველოს ევანგელისტური ეკლესიის 2024 წლის 1-ელი ოქტომბრის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/photo?fbid=871265295139299&set=a.436896068576226

2. ექსპერტიზის არდანიშვნა სასამართლოს მიკერძოებულობის ეჭვს კიდევ უფრო იმის გამოც აძლიერებს, რომ ამ ასლებში ფიქსირდებოდა არაერთი შეუსაბამობა. კერძოდ: ხელშეკრულებაში მითითებული იყო ბიუნგ ჩან პარკის 2015 წელს გაცემული პასპორტის სერიული ნომერი, მაშინ, როდესაც ხელშეკრულების დადების წლად 2014 წელი იყო მითითებული; ხელშეკრულებებს აკლდა არაერთი სანოტარო რეკვიზიტი (მაგ., ნოტარიუსის ხელმოწერა, სანოტარო აქტი, დამოწმების თარიღი და სხვა), რომელთა აღნიშვნა სანოტარო წესით დამოწმებულ დოკუმენტზე, ვაშინგტონის შტატის სანოტარო კანონმდებლობის თანახმად, სავალდებულოა.

საბუთების სავარაუდო გაყალბების ფაქტზე, 2019 წლის ნოემბერში, ზაალ ტყეშელაშვილმა გამოძიების დაწყების მოთხოვნით საქართველოს პროკურატურასაც მიმართა. ხუთ წელზე მეტი გავიდა ამ მიმართვის შემდგომ, თუმცა შედეგი არ დამდგარა.

ვაშინგტონის შტატის ლიცენზირების დეპარტამენტთან (რომელსაც ამ ბეჭდის მფლობელი სანოტარო ბიუროს საქმიანობის ზედამხედველობის უფლებამოსილება აქვს) ოფიციალური კომუნიკაციის შედეგად, დადგინდა, რომ ნოტარიუსმა, რომლის ბეჭედიც ფიქსირდება სადავო დოკუმენტებზე, ვაშინგტონის შტატის ლიცენზირების დეპარტამენტს ვერ წარუდგინა ვერცერთი მტკიცებულება ამ დოკუმენტების სანოტარო წესით დამოწმების შესახებ. შტატის კანონმდებლობის მიხედვით, ეს დოკუმენტაცია ნოტარიუსმა სანოტარო აქტის შესრულებიდან ათი წლის განმავლობაში უნდა შეინახოს.

ვაშინგტონის შტატის ლიცენზირების დეპარტამენტისგან გამოთხოვილი ეს ინფორმაცია, დამატებითი მტკიცებულების სახით წარედგინა საქართველოს პროკურატურას. თუმცა, გამოძიებას ამ დრომდე არავითარი შედეგისთვის არ მიუღწევია.

რაც შეეხება მოსარჩელე პარკის ორგანიზაციას, 12 Baskets-ს, საყურადღებოა, რომ აშშ-ს კორპორაციებისა და საქველმოქმედო ორგანიზაციების სარეგისტრაციო სისტემაში ეს ორგანიზაცია რამდენჯერმე არის დახურული სახელმწიფოსთვის წლების განმავლობაში წლიური ანგარიშების წარუდგენლობის გამო. ჩნდება გონივრული ეჭვი, რომ ბიუნგ ჩან პარკი ამ ორგანიზაციას და მის საქველმოქმედო სტატუსს გადასახადებისგან თავის არიდებისა და საეჭვო ტრანზაქციებისთვის იყენებს.

ეს წინააღმდეგობრივი და დაუსაბუთებელი სამოქალაქო დავა და სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების შეცვლა აჩენს საფუძვლიან ვარაუდს, რომ ეს საქმე ხელისუფლების რეპრესიული პოლიტიკის ნაწილია საქართველოს ევანგელისტური ეკლესიისა და პასტორ ზაალ ტყეშელაშვილის გაჩუმებისა და ეკლესიის ქონებისა და დამოუკიდებლობის წართმევის მიზნით.[85]

85 საქართველოს ევანგელისტური ეკლესიის საქმესთან დაკავშირებით აგრეთვე იხ. რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოში, 2023 წლის ანგარიში, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), 2024, გვ. 16-18. ხელმისაწვდომია: https://tdi.ge/sites/default/files/religiis_tavisupleba_sakartveloshi_2023_tdi.pdf.

5. რელიგიური გაერთიანებების სახელმწიფო დაფინანსება და ქონების გადაცემა

წინა წლების მსგავსად, სახელმწიფომ 2024 წელსაც განაგრძო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსება. საპატრიარქომ სახელმწიფოს ცენტრალური ბიუჯეტიდან კვლავ 25 მილიონი ლარი მიიღო.[86] მიუხედავად იმისა, რომ, როგორც სახელმწიფო, ისე საპატრიარქო, ამ თანხისა და სხვა მატერიალური რესურსების გადაცემის გამამართლებელ მიზეზად საბჭოთა რეჟიმის მიერ ეკლესიისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ასახელებენ, აშკარაა, რომ, თავისი ბუნებით, თანხის ამგვარი გადაცემა ატარებს არა მიყენებული ზიანის კომპენსირების, არამედ სახელმწიფოს მხრიდან საპატრიარქოს სუბსიდირების ხასიათს.

2024 წელს საქართველოს მთავრობამ ექსკლუზიურად საქართველოს საპატრიარქოსთვის 28 განკარგულება მიიღო. ამ განკარგულებების საფუძველზე საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას მთავრობამ დამატებით დიდი ოდენობით ფინანსური და მატერიალური სიკეთეებიც გადასცა.

ზემოხსენებული 25 მილიონის გარდა, 2024 წელს, საქართველოს მთავრობამ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის დაქვემდებარებაში, აგრეთვე მასთან არსებული უმაღლესი სასწავლებლების, პროფესიული და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების, ასევე საქველმოქმედო ფონდებისათვის ჯამში 39 364 180 ლარი გადასცა. მათ შორისაა N375 განკარგულებით გადაცემული 35 მილიონი ლარი,[87] საიდანაც ნაწილი (12,843,000 ლარი) საპატრიარქოს საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვისაა, ხოლო 22,157,000 ლარი „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს განათლებისა და კულტურული ღონისძიებების განვითარების ფონდს" ჩაერიცხა. ეს ფონდი 2022 წლის 5 აგვისტოს დაფუძნდა.[88]

86 საქართველოს კანონი, „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ": (პროგრამული კოდი 45 00).

87 საქართველოს მთავრობის განკარგულება, N375, 2024 წლის 15 მარტი.

88 ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი B22097682, მომზადების თარიღი 05/08/2022, ხელმისაწვდომია: https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFFShUJ]byi2ERUHEDZZ6ZAmgfVCrdVy1YWvhHpf5EFt5

ამავე განკარგულებებით, საქართველოს საპატრიარქო სახელმწიფოსგან იღებს დიდი მასშტაბით უძრავ ქონებას – მიწის ნაკვეთებსა და მასზე მდგომ შენობა-ნაგებობებს. 2024 წელს სახელმწიფომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას პირდაპირი მიყიდვის ფორმით 1 ლარად საკუთრებაში გადასცა: ოზურგეთის, ჩოხატაურის, ტყიბულის, მცხეთის, გურჯაანის, ხელვაჩაურის, თეთრიწყაროს, წყალტუბოს, მარნეულის, ჩხოროწყუს, ხობის, ბორჯომის, ქ. ქუთაისის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტებში მდებარე, ჯამში, 45 290 კვ/მ მიწის ნაკვეთი. ასევე, გორის, ხობის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებში მდებარე, ჯამში, 220 885 კვ/მ მიწის ნაკვეთი 99 წლის ვადით, ხოლო ახმეტის მუნიციპალიტეტებში მდებარე, ჯამში, 28 451 კვ/მ 15 წლის ვადით უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით.

ამ განკარგულებების ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველოს საპატრიარქოსთვის სახელმწიფოს მიერ უძრავი ქონებისა თუ სხვა ფინანსური რესურსის გადაცემის მასშტაბის ზრდა ემთხვევა 2024 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასა და აქტუალურ პოლიტიკურ პროცესებს.

გარდა ცენტრალური ბიუჯეტისა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია დაფინანსებას იღებს ადგილობრივი თვითმმართველობებისგანაც. როგორც წესი, ეს დაფინანსება წლიურად 5-7 მილიონ ლარს აღწევს. 2024 წელს რელიგიური ორგანიზაციებისთვის მუნიციპალური საბიუჯეტო თანხების გადაცემის შესახებ საჯარო ინფორმაცია TDI-მ 64 ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისგან (59 მუნიციპალიტეტის და 5 თვითმმართველი ქალაქის მერიები) გამოითხოვა. ვინაიდან, TDI-ს სრულყოფილი ინფორმაცია მხოლოდ 30-მა მუნიციპალიტეტმა მიაწოდა, შეუძლებელია 2024 წელს მუნიციპალური დაფინანსების ზუსტი მოცულობისა და მისი განაწილების მიზნობრიობის განსაზღვრა.[89]

2014 წლიდან, კიდევ 4 რელიგიური გაერთიანება (მუსლიმური, ებრაული, კათოლიკე და სომეხთა სამოციქულო ეკლესია) იღებს სახელმწიფოს ყოველწლიურ დაფინანსებას, საბჭოთა კავშირის დროს მიყენებული ზიანის სიმბოლური კომპენსირების მიზნით. საამისოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების განაწილებას რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო უზრუნველყოფს. სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით[90], 2024 წელს საქართველოს მუსლიმ თემს - 4 150 000 ლარი, საქართველოს სომეხთა სამოციქულო ქრისტიანულ თემს - 1 100 000 ლარი, საქართველოს რომაულ-კათოლიკურ თემს - 700 000 ლარი, საქართველოს იუდეურ თემს - 550 000 ლარი გადაეცათ. შედეგად, ოთხივე რელიგიური გაერთიანების დაფინანსების საერთო წლიურმა მოცულობამ 6,5 მილიონი ლარი შეადგინა. საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლად მხოლოდ 4 რელიგიური გაერთიანების აღიარება სახელმწიფოს დი-

89 მათგან 11 მუნიციპალიტეტს 2024 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან რელიგიური გაერთიანებებისათვის თანხა არ გადაუცია.

90 სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს 2025 წლის 27 იანვრის წერილი: N 1/21.

სკრიმინაციულ მიდგომად უნდა შეფასდეს, ვინაიდან საბჭოთა რეჟიმის პირობებში რეპრესიას სხვა მრავალი რელიგიური გაერთიანებაც დაექვემდებარა. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს მიერ ბენეფიციართა სია არც 2024 წელს გაზრდილა.

სასამართლო დავა დისკრიმინაციულ მუნიციპალურ დაფინანსებაზე

2024 წლის 20 თებერვალს, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქმე „სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველო საქართველოს წინააღმდეგ“ არსებითი განხილვის ეტაპზე გადავიდა.[91] საქმე ეხება ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებში დამკვიდრებულ დისკრიმინაციულ პრაქტიკას, რაც საბიუჯეტო დაფინანსების რესურსების ერთი კონკრეტული რელიგიური ორგანიზაციისთვის, მართლმადიდებელი ეკლესიისთვის, გადაცემაში გამოიხატება. ამ საქმეზე, 2022 წლის 1-ელ ივლისს ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ პრეცედენტული გადაწყვეტილება მიიღო და ამგვარი პრაქტიკა რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტად დაადგინა. სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმა აწესებს განსხვავებულ მოპყრობას რელიგიური ნიშნით, რომელსაც არ გააჩნია „საკმარისი, ობიექტური და გონივრული გამართლება“.[92]

გასაჩივრების შემდგომ, თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2022 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით გააუქმა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება. უზენაესმა სასამართლომ კი 2023 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით საქმე არსებითად არ განიხილა, რითაც უცვლელად დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება.[93]

91 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2024 წლის 11 მარტის კომუნიკაცია საქმეზე Supreme Religious Administration of Muslims of All Georgia against Georgia: ხელმისაწვდომია: https://hudoc.echr.coe.int/?i=001-231656.

92 დეტალურად იხ. რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოში, 2022 წლის ანგარიში, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), 2023, გვ. 21-22. ხელმისაწვდომია: https://tdi.ge/sites/default/files/tdi_forb_report_2022_geo.pdf.

93 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2024 წლის 11 მარტის კომუნიკაცია საქმეზე Supreme Religious Administration of Muslims of All Georgia against Georgia: ხელმისაწვდომია: https://hudoc.echr.coe.int/?i=001-231656

6. დანაშაულები რელიგიის ნიშნით

წინამდებარე თავში წარმოდგენილია რელიგიური შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების ოფიციალური სტატისტიკა და მათზე სახელმწიფოს რეაგირების ტენდენცია.

წინა წლების მსგავსად, რელიგიური ნიშნით მოტივირებულ დანაშაულებზე არასათანადო რეაგირება კვლავაც პრობლემურ საკითხად რჩება, რაც გამოიხატება გამოძიების არდაწყებაში, არაეფექტიან გამოძიებაში, მსხვერპლისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭებისა და ბრალდებული პირების გამოვლენის გაჭიანურებაში.

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებით საგანგაშოდ სამართალდამცავი უწყებების მიერ აშკარა და სისტემურ დანაშაულებზე გამოძიების არ დაწყება გამოიკვეთა. შედეგად, ეს ყველაფერი, სავარაუდო რელიგიური ნიშნით ჩადენილი დანაშაულების შემთხვევებში სამართალდამცავი უწყებებისადმი მიმართვიანობის კლების, გამოძიების დაწყების, ბრალდების, სასამართლოს მიერ მსჯავრდების და რელიგიური შეუწყნარებლობით ჩადენილი დანაშაულების სტატისტიკის მაჩვენებლებზეც აისახება.

2024 წელს, მსგავსად 2023 წლისა, ადიგენში მუსლიმი მორწმუნეების მიმართ ძალადობრივი მუქარის, სიძულვილის ენის გამოყენების და რელიგიურ საქმიანობაში ხელშეშლის ფაქტების მიმართ ხელისუფლებამ მიზანმიმართულად არ დაიწყო გამოძიება. მეტიც, საქმეში ხელისუფლების სხვადასხვა რგოლის ჩართულობა დანაშაულის დაფარვასა და მუსლიმების კანონიერი უფლებების აღსრულების ხელშეშლაზე მიუთითებს.

2024 წლის 19 სექტემბერს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა კიდევ ერთხელ მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, ებრძოლოს დისკრიმინაციასა და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებს, მათ შორის ნულოვანი ტოლერანტობის რიტორიკის გამოყენებითა და ძალადობის ორგანიზატორებისა და წამქეზებლების დაუყოვნებლივ პასუხისგებაში მიცემით. ამასთან, ღრმა შეშფოთება გამოხატა „ქართული ოცნების“ მიერ ინიციირებულ „ოჯახური ფასეულობებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ საკანონმდებლო პაკეტზე და მოუწოდა კანონის არ ამოქმედებისკენ.[94]

94 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2024 წლის 17-19 სექტემბრის 1507-ე შეხვედრის გადაწყვეტილება – CM/Del/Dec(2024)1507/H46-9: ხელმისაწვდომია: https://hudoc.exec.coe.int/eng?i=CM/Del/Dec(2024)1507/H46-09E

6.1. რელიგიური შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების სტატისტიკა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის, პროკურატურისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს „დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის“ 2024 წლის ერთიანი ანგარიშის თანახმად, საანგარიშო პერიოდში:

შინაგან საქმეთა სამინისტრომ რელიგიის ნიშნით შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულის 17 საქმეზე დაიწყო გამოძიება, მათ შორის 1 ისეთ საქმეზე, რომელშიც შეუწყნარებლობის მოტივი გენდერი და რელიგია იყო, 1 - გენდერი და რასა.[95]

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, იმავე ნიშნით ჩადენილ დანაშაულებზე, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, სულ 3 საქმეზე დაიწყო გამოძიება. მათგან 1 სისხლის სამართლის საქმეზე შეწყდა გამოძიება.[96]

საქართველოს პროკურატურამ საანგარიშო პერიოდში რელიგიის ნიშნით შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულის მხოლოდ 8 საქმეზე დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, რომელთაგან ორში შეუწყნარებლობის მოტივად, რელიგიასთან ერთად, რასაც იკვეთებოდა. საანგარიშო პერიოდში პროკურატურამ დაზარალებულად ცნო 11 პირი.[97]

სასამართლო: საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, საანგარიშო პერიოდში რაიონული (საქალაქო) სასამართლოებში შევიდა 1 საქმე სსკ-ის 155 მუხლით (რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა) და 1 საქმე სსკ-ის 156-ე მუხლით (დევნა რელიგიისა და რწმენის გამო) გათვალისწინებული დანაშაულისათვის. 2024 წელს უკვე განხილვაში იყო ორი საქმე. ამ საქმეებზე სამართალწარმოება 2024 წელს არ დასრულებულა.

რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებმა რელიგიური შეუწყნარებლობის ნიშნით დანაშაულის ჩადენა, როგორც სასჯელის დამამძიმებელი გარემოება, 4 განაჩენში გამოიყენა. მათგან 1 საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენია გამოტანილი, 1 საქმეზე გამამართლებელი განაჩენი, 2 საქმეზე კი სამართალწარმოება შეწყდა.[98]

95 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, სპეციალური საგამოძიებო სამსახური, საქართველოს პროკურატურა, საქართველოს უზენაესი სასამართლო – „დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში“, 2024, ხელმისაწვდომია: https://www.geostat.ge/media/68742/diskriminacia_2024.pdf

96 სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2025 წლის 24 იანვრის SIS 6 25 00001298 წერილი.

97 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, სპეციალური საგამოძიებო სამსახური, საქართველოს პროკურატურა, საქართველოს უზენაესი სასამართლო – „დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში“, 2024, ხელმისაწვდომია: https://www.geostat.ge/media/68742/diskriminacia_2024.pdf.

98 თბილისის უზენაესი სასამართლოს 2025 წლის 28 თებერვლის N პ-13-25 წერილი.

6.2. ᲓᲐᲑᲐ ᲐᲓᲘᲒᲔᲜᲨᲘ ᲛᲣᲡᲚᲘᲛᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲕᲜᲐ

2012 წლის ბოლოდან მუსლიმების წინააღმდეგ გახშირებულ სისტემურ ძალადობაზე ხელისუფლების ზედაპირულმა და არასათანადო რეაგირებამ ახალი დანაშაულები წაახალისა. შედეგად, ადიგენის მუნიციპალიტეტში გაჩნდა მუსლიმების დევნის განგრძობადი და განმეორებადი ახალი კერა.

საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა და უფრო მძაფრი ფორმა შეიძინა ადიგენში მუსლიმების მიმართ 2023 წელს დაწყებულმა დევნამ და მუქარამ.[99] 2024 წლის 8 მარტს[100] და 5 აპრილს[101], ადგილობრივი მართლმადიდებელი სასულიერო პირები და მათ მიერ ორგანიზებული ჯგუფი დაბა ადიგენში მუსლიმთა კერძო საკუთრებაში აგრესიული ფორმით მივიდნენ და იქ შეკრებილ მუსლიმებს უკანონო მოთხოვნები წაუყენეს. მათი მოთხოვნით, მუსლიმ თემს პარასკევის ლოცვა არ უნდა შეესრულებინა, საკუთრება დაეთმო და ადიგენი დაეტოვებინა. მომხდარს თან ახლდა ჯანმრთელობის დაზიანებისა და ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარებიც. ორგანიზებული დევნის მთავარი ორგანიზატორი იყო იმ დროისათვის ზარზმის მონასტრის წინამძღვარი ნიკოლოზ გეწაძე, რომელიც წინა წლებშიც გამოირჩეოდა ადიგენის მუნიციპალიტეტში მუსლიმი მოსახლეობის მიმართ აგრესიითა და მათი დევნით.[102]

საანგარიშო პერიოდში ადიგენში 2023-2024 წლებში მუსლიმების მიმართ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულების არცერთ შემთხვევაზე არ დაწყებულა გამოძიება.

საქმეს უფრო მეტად შემაშფოთებელს ხდის მუსლიმების უფლებების დარღვევაში ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების ჩართულობა. სახელმწიფო თანამდებობის პირებმა მიიჩნიეს, რომ ეს საკითხი არაფორმალური „მოლაპარაკებების“ გზით უნდა გადაწყვეტილიყო. 2024 წლის მარტი-აპრილის თვეებში რამდენიმე დახურული ფორმატის შეხვედრა გაიმართა. ხელისუფლების წარმომადგენლები მუსლიმებს აიძულებდნენ, დაეთმოთ ადიგენში მდებარე საკუთრება, შეეწყვიტათ ლოცვა და რელიგიური საქმიანობა, სანაცვლოდ კი მიმდებარე სოფელში სხვა შენობა-ნაგებობის შესაძენად სახელმწიფო ბიუ-

99 „ადიგენში მუსლიმებს სალოცავს და რელიგიურ სკოლას ატოვებინებენ – ადგილობრივების თქმით, მიზეზი მართლმადიდებელი სასულიერო პირების უკმაყოფილებაა“, „სამხრეთის კარიბჭე“, 31.07.2023, ხელმისაწვდომია: https://sknews.ge/ka/news/39410.

100 „გამოდი, გამოეთრიეთ გარეთ“ – ადიგენში მუსლიმებს პარასკევის ლოცვაზე მიუვარდნენ“ - ბათუმელები, 08.03.2024: ხელმისაწვდომია: https://batumelebi.netgazeti.ge/news/519077/#gsc.tab=0.

101 „მორიგი პროტესტი ადიგენში [ვიდეო]“ - „სამხრეთის კარიბჭე“, 05.04.2024, ხელმისაწვდომია: https://sknews.ge/ka/news/40825.

102 „სამხრეთის კარიბჭის“ ინფორმაციით, ნიკოლოზ გეწაძე სექსუალურ შევიწროებაშიც ამხილეს, რის გამოც 2025 წლის იანვარში ეპარქიის მმართველმა მღვდელმთავარმა, თეოდორე ჭუაძემ მას მღვდელმოქმედება შეუჩერა. „საპატრიარქო ადასტურებს, რომ არქიმანდრიტ ნიკოლოზს მღვდელმოქმედება შეუჩერეს“ – „სამხრეთის კარიბჭე“, 30.01.2025, ხელმისაწვდომია: https://sknews.ge/ka/news/42772

ჯეტიდან თანხის გამოყოფას ჰპირდებოდნენ. ამასთან, ხელისუფლების სურვილი იყო, რომ ახალი შენობა-ნაგებობა არა ამ კონკრეტული მუსლიმი თემის, არამედ სულ სხვა რელიგიური ორგანიზაციის - სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს საკუთრებად დარეგისტრირებულიყო. 2024 წლის 10 აპრილს სამცხე-ჯავახეთის მუფთიმ, მამუკა ვაშაყმაძემ განაცხადა, რომ ადიგენში ადგილობრივი მუსლიმები პარასკევის ლოცვებს აღარ ჩაატარებდნენ.[103]

მუსლიმების იძულებაში, რასაც ხელისუფლება „მოლაპარაკებებად" წარმოაჩენდა, მონაწილეობდა როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური ხელისუფლება. მუსლიმი თემის კანონიერი უფლების შეზღუდვის პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში მოქმედი რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო და მისი თავმჯდომარე ზაზა ვაშაყმაძე, ადიგენის მერი გოჩა ქიმაძე და სამცხე-ჯავახეთის რწმუნებული (გუბერნატორი) ბესიკ ამირანაშვილი. „მოლაპარაკების" წინ და პროცესშიც ადიგენის მერი, გოჩა ქიმაძე მერაბ მიქელაძის საკუთრებას უკანონოდ გახსნილ მეჩეთს უწოდებდა და ლოცვის შეწყვეტისკენ მოუწოდებდა.[104] ზაზა ვაშაყმაძე კი შედეგებზე სრულ პასუხისმგებლობას მუსლიმთა წარმომადგენელ მერაბ მიქელაძეს აკისრებდა.[105] ადიგენში განვითარებული მოვლენები კარგად წარმოაჩენს, თუ როგორ აფარებს ხელისუფლება ხელს სავარაუდო დამნაშავეებს და უხეშად არღვევს კანონმდებლობას და ადამიანის უფლებებს, რაც სამოხელეო დანაშაულის ნიშნებზე მიუთითებს.

6.3. ქობულეთის მუსლიმთა პანსიონის საქმე

საანგარიშო პერიოდში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ქართველ მუსლიმთა ურთიერთობები და სხვები საქართველოს წინააღმდეგ" ზედამხედველობისა და აღსრულების ნაწილში ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს გადაეცა და „იდენტობა და სხვები" საქმეების ჯგუფს დაემატა.[106]

საქმე ეხება 2014 წელს ქობულეთის მუნიციპალიტეტში მომხდარ ფაქტს, სადაც ადგილობრივმა მართლმადიდებლებმა მუსლიმი მოსწავლეებისათვის პანსიონის გახსნა შენობის შესასვლელის გადაკეტვითა და შენობის კარზე ღორის თავის მიჭედებით გააპროტესტეს.

103 „ადიგენში პარასკევის ლოცვებს მუსლიმები აღარ ჩაატარებენ" – „ბათუმელები", 10.04.2024, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/43oobhk.

104 „დაბა ადიგენში მუსლიმთა სახალხო ლოცვა აღარ იქნება - ვინ აკრძალა და რა უფლებით?" - რადიო თავისუფლება, 2024 წლის 13 მარტი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/43stCM6.

105 „მისი მხრიდან გადადგმული ეს ნაბიჯი შეიძლება ჩაითვალოს დესტრუქციად და გამწვავების კუთხით პერსპექტივად" – რელიგიის სააგენტო მერაბ მიქელაძეზე", „სამხრეთის კარიბჭე", 2024 3 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://sknews.ge/ka/news/40796.

106 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, Identoba and Others v.Georgia: ხელმისაწვდომია: https://hudoc.exec.coe.int/eng?i=004-5894.

მიუხედავად იმისა, რომ პანსიონის შენობასთან პოლიცია მუდმივად იყო მობილიზებული და ხედავდნენ პანსიონის ადმინისტრაციისა და მოსწავლეების დევნის, გადაადგილების, საკუთრებისა თუ სხვა ფუნდამენტური უფლებების შეზღუდვის არაერთ ფაქტს, მათ არ ჰქონიათ რეაგირება უფლებების დარღვევის არცერთ შემთხვევაზე.[107]

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, მომჩივანთა მიმართ დადგინდა კონვენციის მე-8 (პირადი ცხოვრების უფლება) და მე-9 (აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება) მუხლების და მათთან კავშირში მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლის დარღვევა.[108] სასამართლომ აღნიშნა, რომ აგრესიული ჯგუფის მიერ ორგანიზებულ სიძულვილის ენის, მუქარისა და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტებზე სახელმწიფოს არ გამოუვლენია სათანადო რეაგირება, მან ვერ შეასრულა თავისი პოზიტიური ვალდებულება, დაედგინა რელიგიურ მრწამსთან მიმართებით ზიანი და ვერ უზრუნველყო, დაეცვა მომჩივნები პირადი ცხოვრების, ღირსებისა და რელიგიური მრწამსის უფლებაში ჩარევისგან.

107 დეტალურად იხ. TDI-ს 2010-2019 წლების ანგარიში საქართველოში რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შესახებ, გვ. 112: ხელმისაწვდომია: http://tdi.ge/sites/default/files/tdi-angarishi-religiis_tavisupleba_sakartveloshi_2010-2019.pdf.

108 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2024 წლის 29 თებერვლის საბოლოო გადაწყვეტილება საქმეზე, Case of Georgian Muslim Relations and Others v. Georgia (Application no. 24225/19).

7. რელიგია საჯარო სკოლებში

საჯარო სკოლებში ინდოქტრინაცია, პროზელიტიზმი და რელიგიური ნეიტრალობის დარღვევა დღემდე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. მიუხედავად პრობლემის არსებობისა, განათლების სამინისტრო არ ახდენს ამგვარი ფაქტების პროაქტიულად გამოვლენას და აღკვეთას. კვლავ დაბალია თავად მოსწავლეების/მშობლების მხრიდან საჩივრის წარდგენის მაჩვენებელიც, რაც, სავარაუდოდ, უნდობლობითა და უფრო მეტად სტიგმატიზაციის შიშით არის განპირობებული. 2024 წელს სოფელ არწივანის საჯარო სკოლის მუსლიმი მასწავლებლები და მოსწავლეები რელიგიური ნეიტრალობის დარღვევისა და დისკრიმინაციის მსხვერპლი გახდნენ. საანგარიშო პერიოდში განათლების სამინისტრომ შემწყვიტა ახალი სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესი და მასში ადამიანის უფლებების ექსპერტების ჩართულობა. „ქართულმა ოცნებამ“ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების ახალი დოკუმენტი შეიმუშავა, რომელიც შინაარსობრივად ეხმიანება იმ ღირებულებით ცვლილებებს, რაც მის ნარატივში ხშირად არის გახმოვანებული. 2024 წელს ინტენსიურად ჩანდა საპატრიარქოსა და განათლების სამინისტროს შორის თანამშრომლობა. საპატრიარქო აქტიურად ხვდებოდა მასწავლებლებს, ხოლო 20 საპილოტე სკოლაში პროექტ „ღირებულებითი კლუბის“ შეხვედრები ჩატარდა.

სკოლებში რელიგიური ნეიტრალობის დარღვევის სტატისტიკა

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2024 წელს შიდა აუდიტის დეპარტამენტმა სკოლაში საგაკვეთილო პროცესზე რელიგიური ინდოქტრინაციის ან პროზელიტიზმის, რელიგიური სიმბოლოების არააკადემიური მიზნით გამოყენების სავარაუდო ერთი შემთხვევა შეისწავლა. სამინისტროს ინფორმაციით, შესწავლის შედეგად დადგინდა ზოგადი განათლების შესახებ კანონით გათვალისწინებული რელიგიური ნეიტრალურობის, არადისკრიმინაციულობის პრინციპების და გარანტირებული რწმენის თავისუფლების დარღვევა. სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სკოლას წერილობითი გაფრთხილება მიეცა და დარღვევაზე რეაგირების მოხდენა დაევალა[109].

109 საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2025 წლის 28 იანვრის MES 0 25 0000067537 წერილი.

სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირება და ადამიანის უფლებების ექსპერტების ჩართულობა

2019 წლიდან განათლების სამინისტრომ, საქართველოს სახალხო დამცველთან თანამშრომლობით, ყველა საგნის ახალი სასკოლო სახელმძღვანელოს გრიფირების პროცესში ადამიანის უფლებების ექსპერტებიც ჩართო. ადამიანის უფლებებისა და დისკრიმინაციის აკრძალვის კრიტერიუმი ითვალისწინებდა სახელმძღვანელოების შინაარსის შეფასებას ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების კულტურის ასახვის თვალსაზრისითაც. გრიფირების პროცესი 2019 წლიდან 2023 წლის ჩათვლით მიმდინარეობდა.

2024 წელთან დაკავშირებით TDI-მ განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსგან გამოითხოვა ინფორმაცია იმის შესახებ, გრძელდებოდა თუ არა სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესი და იგეგმებოდა თუ არა მასში ადამიანის უფლებების ექსპერტების ჩართვა 2024 წელსაც. პასუხად, სამინისტრომ TDI-ს აცნობა, რომ გრიფირების პროცესი აღარ გრძელდება, მიმდინარეობს არსებული საგნობრივი სტანდარტების რევიზია და ხსენებული პროცესის დასრულების შემდგომ გადაიხედება სახელმძღვანელოების განვითარების საკითხი და დაიგეგმება შემდგომი ნაბიჯები.

„ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ ახალი დოკუმენტი

2024 წელს დამტკიცდა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების ახალი დოკუმენტი. ეს დოკუმენტი განათლების სისტემის პოლიტიკის ერთგვარი ღირებულებითი საფუძველია, რომელიც ადგენს, თუ როგორი მოქალაქის აღზრდა და რა შედეგის მიღწევა სურს სახელმწიფოს განათლების სისტემის მეშვეობით.

საგულისხმოა, რომ ახალი დოკუმენტი შინაარსობრივად ეხმიანება იმ ღირებულებით ცვლილებებს, რაც „ქართული ოცნების“ ნარატივში ხშირად არის გახმოვანებული.[110] მაგალითისთვის, დოკუმენტში ვეღარ ვხვდებით ტერმინ „ლიბერალურს“ და ლიბერალურ ღირებულებებს, ასევე აღარ გვხვდება ტერმინი „დისკრიმინაცია“, რომელიც 2004 წლის დოკუმენტში მიზნების მისაღწევ საშუალებებში გვხვდებოდა[111].

პროცესს წინ უძღოდა განათლების მინისტრის, გიორგი ამილახვრის განცხადება 2023 წლის 12 დეკემბერს ზოგადი განათლების განვითარების ახალი სტრატეგიის წარდგენისას: „ჩვენ

110 საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 12 ივნისის დადგენილება №4261-XIVმს-Xმპ, „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტის“ დამტკიცების შესახებ, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6193624?publication=0

111 საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის დადგენილება №84 „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ დამტკიცების შესახებ,(ძალადაკარგულია 14.08.2024), ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/11098?publication=0

არ გვინდა ახალი მოქალაქის შექმნა, ჩვენ გვინდა ადამიანი იყოს ქართველი, რომელიც დაეფუძნება ქართულ იდენტობას, გაიზრდება პატრიოტულ საწყისებზე, დააფასებს და ეცოდინება მისი კულტურა და ისტორია". ამავე ღონისძიებაზე, მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა კი თქვა, რომ 2004 წელს ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს გატარებული რეფორმები იყო მცდელობა, რომ „შეეცვალათ ჩვენი ეროვნული იდენტობა, ჩვენი დნმ, ქართველობა".[112]

7.1. საპატრიარქოს „ღირებულებითი კლუბი"

2023 წელს გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქომ დაიწყო ახალი პროექტი საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან თანამშრომლობით. ღირებულებითი განათლების პროექტი სასულიერო პირების გადამზადებას ისახავდა მიზნად, რომლებიც, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გადამზადების შემდეგ სამრევლო და, სურვილის შემთხვევაში, საჯარო სკოლებში ჩაატარებდნენ გაკვეთილებს[113]. 2024 წლის ივნისში საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა ინფორმაცია გაავრცელა, რომ სასულიერო პირების გადამზადების პროცესი დასრულდა[114], ხოლო სექტემბერში გაიმართა ღირებულებითი განათლების კლუბების პრეზენტაცია[115]. პრეზენტაციისას გავრცელებულ ინფორმაციაში აღნიშნული იყო, რომ პროექტში 20 საპილოტე სკოლა იყო ჩართული, ხოლო ინიციატივა მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს: სამოქმედო გეგმის შედგენა, ღირებულებითი განათლების კურიკულუმის შექმნა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის სხვადასხვა შემეცნებით-საგანმანათლებლო აქტივობების შეთავაზება და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლებისთვის ღონისძიებების დაგეგმვა და შეთავაზება.

TDI-მ 2024 წლის დასაწყისში განათლების სამინისტროსგან მოითხოვა ინფორმაცია: იყო თუ არა შესული სამინისტროში რაიმე ინიციატივა სკოლებში რელიგიის სწავლების საკითხზე ან თავად სამინისტროს ინიციატივით ხომ არ დაწყებულა ამ საკითხის განხილვა.

112 „განათლების ახალი სტრატეგია ეროვნულ იდენტობაზე, ღირებულებებზე, პატრიოტიზმსა და ოჯახზე ამახვილებს ყურადღებას", civil.ge, 12.12.2023, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/574185

113 „საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ორგანიზებით, პედაგოგების გადამზადების ახალი პროექტი დაიწყო", საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნება", 2023 წლის 19 ივნისი, https://www.facebook.com/watch/?v=285491993948552 .

114 საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, 2024 წლის 27 ივნისი, https://www.facebook.com/watch/?v=1228181728547009&ref=sharing.

115 საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, 2024 წლის 26 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/sazupatriarchate/posts/pfbid032R27UvhykxRsFNBd8xKfcubdbZrtktfvuh9PCWkGZYYwVLPix94oFhLZYuyRuz3nl.

პასუხად სამინისტრომ აღნიშნა, რომ „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით რელიგიის სწავლება შეუძლიათ შეიტანონ სკოლებში, როგორც დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება, რაც, თავის მხრივ, შესაძლოა მოიცავდეს მოსწავლეებისათვის რელიგიების ისტორიის გაცნობას, რელიგიების კულტურული, ჰუმანური და სოციალური მნიშვნელობის გააზრებას, პატივისცემას განსხვავებული რწმენისა და რელიგიის ადამიანების მიმართ“.[116]

გარდა ამისა, 2025 წლის დასაწყისში TDI-მ სამინისტროს უშუალოდ მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოსთან თანამშრომლობით რელიგიის სწავლების შესახებაც დაუსვა შეკითხვა, კერძოდ, საჯარო სკოლებში, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოსთან თანამშრომლობით, ისწავლება თუ არა რელიგია ან რელიგიური კომპონენტის მქონე რაიმე საგანი და თუკი ისწავლება, რა ფორმებით ხდება ეს. ასევე მოვითხოვეთ საჯარო სკოლებში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოსთან თანამშრომლობით დაფუძნებულ „ღირებულებითი განათლების კლუბებთან“ დაკავშირებული ყველა დოკუმენტი, რომლებითაც გაწერილია ამ კლუბების სტატუსი, მათი აქტივობების შინაარსი, კლუბებში სწავლების ფორმატი, შინაარსი, აგრეთვე ის, თუ ვინ, შეიძლება, იყოს კლუბში მასწავლებელი და ა.შ. სამინისტროს TDI-სთვის ეს ინფორმაცია სამინისტროს არ მოუწოდებია.

7.2. არწივანის საჯარო სკოლაში მუსლიმი მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიმართ დისკრიმინაცია

2024 წლის 2 თებერვალს, პარასკევს, წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ არწივანის საჯარო სკოლაში, რომლის მასწავლებლებისა და მოსწავლეების უმრავლესობა მუსლიმია, მართლმადიდებელმა სასულიერო პირებმა სამასწავლებლო ოთახი და საკლასო ოთახები აკურთხეს, კედლებზე ჯვრის გამოსახულებიანი სტიკერები გააკრეს, მოსწავლეებს (მათ შორის, მუსლიმ მოსწავლეებს) ნაკურთხი წყალი აპკურეს და ზეთისცხების რიტუალიც ჩაატარეს. სასულიერო პირებს თან ახლდა სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ფრიდონ დავითაძე. პროცესში ჩართული იყო არწივანის საჯარო სკოლის მასწავლებელი კობა შონიაც, რომელიც, ამავდროულად, მართლმადიდებელი სასულიერო პირია.

ეს ორგანიზებული და მასშტაბური რელიგიური რიტუალი ჩატარდა სასკოლო საათებში, სასწავლო პროცესის პარალელურად და მოიცვა ფაქტობრივად მთელი სკოლის ტერიტორია და საკლასო ოთახები, რომლებშიც საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობდა.[117] სა-

116 საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2024 წლის 2 თებერვლის MES 1 24 0000109208 წერილი.

117 წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ არწივანის საჯარო სკოლის ხუთი მუსლიმი მასწავლებლის ინტერესებს იცავს ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI).

კლასო ოთახებში მყოფი მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის სასულიერო პირების შესვლა და მათი მოქმედებები მოულოდნელი იყო. აღსანიშნავია ასევე, რომ, TDI-სთვის მოწოდებული ინფორმაციით, საკლასო ოთახების კურთხევის რიტუალმა განსაკუთრებით მძიმედ იმოქმედა ეთნიკურად აზერბაიჯანელ, მუსლიმ მოსწავლეზე: იგი სახეზე ხელს იფარებდა, რათა ნაკურთხი წყალი არ შესხმოდა, და მუსლიმურ ლოცვებს წარმოთქვამდა.

ამ ინციდენტს სკოლის მუსლიმი მასწავლებლებისა და სკოლაში მყოფი მშობლების სიტყვიერი პროტესტი მოჰყვა. საპასუხოდ, ქრისტიანი მოსახლეობა სკოლის ეზოში შეიკრიბა. სკოლის მუსლიმმა მასწავლებლებმა შეკრებილებს განუმარტეს, რომ პრობლემა კანონის მოთხოვნების დარღვევა იყო და ისინი არცერთ რელიგიას არ ებრძოდნენ.

საჯარო სკოლაში განვითარებული მოვლენები წარმოადგენს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონით აკრძალულ რელიგიის ნიშნით პირდაპირ დისკრიმინაციას და, ამავდროულად, არღვევს „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის რამდენიმე ნორმას, კერძოდ, რელიგიური გაერთიანებებისაგან საჯარო სკოლის დამოუკიდებლობის პრინციპს, საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმისა და იძულებითი ასიმილაციის მიზნებისათვის გამოყენების დაუშვებლობასა და საჯარო სკოლის ტერიტორიაზე რელიგიური სიმბოლოების არააკადემიური მიზნებით განთავსების აკრძალვას.

ამ კანონდარღვევასთან დაკავშირებით განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ (მისმა აუდიტის დეპარტამენტმა) ჩაატარა ინსპექტირება, რომლის პროცესში ახსნა-განმარტება ჩამოერთვა სკოლის 18 თანამშრომელს, თუმცა ახსნა-განმარტება არ ჩამოურთმევიათ არცერთი მოსწავლისათვის მაშინ, როდესაც კანონდარღვევის მავნე შედეგების მასშტაბისა და სიმწვავის დასადგენად არასრულწლოვან მსხვერპლთა გამოკითხვას, სავარაუდოდ, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა.

ჩატარებული ინსპექტირების საფუძველზე, შედგა დასკვნა, რომელზე დაყრდნობითაც სამინისტრომ დაადგინა ზოგადი განათლების შესახებ კანონის მოთხოვნების დარღვევა და არწივანის საჯარო სკოლას გაფრთხილება გამოუცხადა.

აქვე აღსანიშნავია, რომ სამინისტრო TDI-სა და მის მარწმუნებელ 5 მუსლიმ მასწავლებელს, პერსონალური მონაცემების დაცვის საბაბით, უარს ეუბნება ჩატარებული ინსპექტირების შედეგად შექმნილი საჯარო ინფორმაციის მიწოდებაზე.[118]

118 სამინისტრომ TDI-ს გამოუგზავნა ზემოაღნიშნულ საკითხზე მიღებული მინისტრის გადაწყვეტილება (ბრძანება), სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის ინსპექტირების დასკვნა და ამავე დეპარტამენტის მიერ ზემოხსენებულ კანონდარღვევასთან დაკავშირებით ჩამორთმეული ახსნა-განმარტებები და შედგენილი ოქმები. თუმცა დასახელებულ დოკუმენტაციაში, პერსონალური მონაცემების გამჟღავნებისგან დაცვის საბაბით, სრულადაა დაფარული ძირითადი ინფორმაცია, კერძოდ, ის, თუ სოფელ არწივანის საჯარო სკოლაში მომხდარ კანონდარღვევასთან დაკავშირებით რა ახსნა-განმარტებები მისცეს გამოკითხულმა პირებმა (დაფარულია ახსნა-განმარტების სრული შინაარსი. დაფარული არ არის მხოლოდ მოსარჩელეთა მიერ მიცემული ახსნა-განმარტებები).

არწივანის სკოლაში მომხდარი კანონდარღვევის შესახებ TDI-მ 2024 წლის 29 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველს მიმართა და მოითხოვა სოფელ არწივანის საჯარო სკოლის არამართლმადიდებელი მოსწავლეებისა და პერსონალის რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ძირითადი უფლების დარღვევისა და რელიგიის ნიშნით მათი დისკრიმინაციის დადგენა და შესაბამისი რეკომენდაციის გაცემა; აგრეთვე განათლების სამინისტროს რეაგირების კანონიერებისა და ადეკვატურობის შესწავლა.

სახალხო დამცველის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ფრიდონ დავითაძეს არწივანის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილება შეუწყდა, რადგან კონკურსის შედეგად დირექტორის თანამდებობა სხვა პირმა დაიკავა.

სახალხო დამცველმა TDI-ის განცხადებაზე საქმის შესწავლა 10 თვეს გააჭიანურა და საბოლოო გადაწყვეტილება 2024 წლის 9 დეკემბერს მიიღო, რომლითაც საქმის წარმოება შეწყვიტა.[119] სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ აღმოფხვრილი იყო დისკრიმინაციის შედეგები და ქმედებებზე პასუხისმგებელი პირი დირექტორის მოვალეობას აღარ ასრულებდა. ამ გადაწყვეტილებით სახალხო დამცველმა უგულებელყო საჯარო სკოლებში რელიგიური ნეიტრალობის დარღვევის სტრუქტურული პრობლემის არსებობა.

აქ აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველს 2017 წელს განათლების სამინისტროს მიმართ გაცემული აქვს ზოგადი წინადადება, რომლითაც, სხვა საკითხებთან ერთად, მოთხოვნილია, რომ განათლების სამინისტრომ:

- საჯარო სკოლებში რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვის მიზნით, უზრუნველყოს სკოლის ინფრასტრუქტურაში რელიგიური ატრიბუტიკის არააკადემიური მიზნების გამოყენების პრაქტიკის აღმოფხვრა;

- უზრუნველყოს საჯარო სკოლებში სასკოლო საათების დროს რელიგიურ რიტუალში სკოლის მოსწავლეების, ასევე ქრისტიანულ რიტუალებში არაქრისტიანი მოსწავლეების მონაწილეობის სავარაუდო ფაქტების შეფასება, დისციპლინური წარმოების დაწყება და შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება;

- განსაკუთრებით, რელიგიური ან ეთნიკური თვალსაზრისით არაერთგვაროვან რეგიონებში არსებული სკოლების მასწავლებლებისათვის, პრიორიტეტულად, უზრუნველყოს ტრენინგები ტოლერანტობის და მულტიკულტურული სწავლების მნიშვნელობის თაობაზე.

119 საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 9 დეკემბრის N 2024/7074 წერილი.

ვინაიდან არწივანის საჯარო სკოლაში სახალხო დამცველის ზოგადი წინადადების გაცემიდან 7 წლის შემდეგაც უხეშად და აშკარად ირღვევა ეს მითითებები, ეს იმას ნიშნავს, რომ განათლების სამინისტროს ხსენებული წინადადების შესრულებისთვის ადეკვატური ზომები არ გაუტარებია. ამიტომ მიზანშეწონილი იქნებოდა და სახალხო დამცველს შეეძლო, რომ განათლების სამინისტროსთვის ახალი ზოგადი წინადადებით მიემართა და უწყების მიერ ადრე გაცემული ზოგადი წინადადების აღსრულება მოეთხოვა. ამ შემთხვევაში, განათლების სამინისტრო ვალდებული იქნებოდა, გატარებული ღონისძიებების შესახებ სახალხო დამცველისთვის ეცნობებინა.

8. ანტისემიტიზმი

8.1. ვიტალი საფაროვის მკვლელობის საქმე

საანგარიშო პერიოდში, 2024 წლის 17 იანვარს, ეთნიკური შეუწყნარებლობისა და ანტისემიტიზმის მოტივით ჩადენილი ვიტალი საფაროვის მკვლელობის საქმეზე ვიტალი საფაროვის დედამ, მარინა ალანაკიანმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართა. 2025 წლის 13 მარტს კი საქმე „მარინა ალანაკიანი საქართველოს წინააღმდეგ“ არსებითი განხილვის ეტაპზე გადავიდა და სასამართლომ საქმესთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობასთან ოფიციალური კომუნიკაცია დაიწყო.[120]

2018 წლის 30 სექტემბერს, თბილისში საქართველოს მოქალაქე, უფლებადამცველი ვიტალი საფაროვი ცივი იარაღით მრავლობითი ჭრილობების მიყენებით მოკლეს. საქმეში არსებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების მიხედვით, მკვლელობის ჩადენაში იკვეთებოდა ორი პირის მონაწილეობა, თავდამსხმელების აშკარად ანტისემიტური და ქსენოფობიური ენა კი მიუთითებდა დანაშაულის შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენაზე. ამ გარემოებებისა და პროკურატურის მოთხოვნის მიუხედავად, სამივე ინსტანციის სასამართლომ მკვლელობის ჩადენის მოტივად არ დაადგინა რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობა და ბრალდებულები მხოლოდ მკვლელობის ჯგუფურად ჩადენაში ცნო დამნაშავედ და 15-15 წლით პატიმრობა მიუსაჯა.[121]

8.2. ანჯისემიჯიზმის შემთხვევები საქართველოში

საანგარიშო პერიოდში ანტისემიტურ გზავნილებს შეიცავდა სხვადასხვა საჯარო პირის, მათ შორის, „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებული პროპაგანდისტების გამოსვლები და სოციალურ ქსელებში გავრცელებული მასალები.

120 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2025 წლის 31 მარტის კომუნიკაცია საქმეზე Marina Alanakian against Georgia” Application no. 2987/24: ხელმისაწვდომია: https://hudoc.echr.coe.int/?i=001-242679

121 საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება - საქმე №259აპ-23 ქ. თბილისი კ. ა. 259აპ-23 21 სექტემბერი, 2023 წელი, https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/45176/2

2024 წლის 27 დეკემბერს, მმართველი პარტიის, „ქართული ოცნების“ პროპაგანდისტმა გოგა ხაინდრავამ ხელისუფლებასთან აფილირებული მედიის „პოსტ ტივის“ ეთერში, მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების განხილვისას, დამაკნინებლად მოიხსენია ებრაელი ხალხი: „ადრეც მაქვს ნათქვამი, 35 წელიწადს იარა ქართულმა საზოგადოებამ უდაბნოში, ისევე როგორც ებრაელმა ხალხმა და ებრაელი ხალხისგან განსხვავებით, სიბრძნე შეიძინა ქართულმა საზოგადოებამ“.[122]

2024 წლის 9-10 იანვარს „ქართულის ოცნების“ პროპაგანდისტი, ადვოკატი ირაკლი ზაქარეიშვილი საკუთარ Facebook გვერდზე წერდა, რომ ნიუ-იორკის სინაგოგაში პოლიციამ აღმოაჩინა საიდუმლო გვირაბი, რომლიდანაც სისხლიანი მატრასები და ბავშვის ჭოჭინები ამოიღეს. მისი მტკიცებით, გვირაბების დანიშნულება მცირეწლოვანი ბავშვებით ვაჭრობა, მათზე ძალადობა და თალმუდისტურ-სატანისტური მსხვერპლშეწირვებისა და რიტუალების ჩატარება იყო. მისივე მტკიცებით ებრაელები ცდილობდნენ გვირაბის დაცვას, რათა პოლიციას არ შეეღწია.



ვიდეო, რომელსაც ირაკლი ზაქარეიშვილი მტკიცებულებად იყენებს, ამ დროისთვის მონიშნულია, როგორც ყალბი ინფორმაციის შემცველი. იგი რეგულარულად ავრცელებს ანტისემიტური შინაარსის მქონე დეზინფორმაციას.

122 გოგა ხაინდრავა დიდ გადაცემაში, 27 დეკემბერი, 2024, POSTV-ანალიტიკა, 2024 წლის 28 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=6jrjdqE103s&list=PLj4RPJprGmVjseYOnC2s-7J59eidpZvhqC&index=6



2025 წლის 22 იანვარს თბილისში მდებარე სავაჭრო ცენტრ „სითი მოლის“ ვებსაიტზე, სავარაუდოდ, განხორციელდა კიბერშეტევა. შედეგად, ვებსაიტზე გამოტანილი შეტყობინება შეიცავდა ანტისემიტურ გზავნილებს „MURDER ALL JEWS“ („მოკალი ყველა ებრაელი“). „სითი მოლმა“ მომხდართან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა და ფაქტს „კიბერშეტევა“ უწოდა.

2023 წლის 7 ოქტომბერს ტერორისტული ორგანიზაცია „ჰამასის“ მიერ ისრაელზე განხორციელებული შეტევის შემდეგ საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში გაძლიერდა ანტისემიტური, სიძულვილის ენის შემცველი რიტორიკა. სოციალურ ქსელებში საანგარიშო პერიოდში კვლავ გვხვდებოდა ქსელების მომხმარებლების მიერ გამოთქმული ანტისემიტური შინაარსის კომენტარები, მათ შორის, რელიგიური სტერეოტიპები და კონსპირაციული თეორიები ებრაელი ხალხის მიმართ.